საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის № 284 კვირა, მარტის 25 (8) 1918 წ.

სახალხო საქმე

მთავარი კომიტეტის ორგანო

ოსმალებმა ბათომთან სახელმწიფოს მეელი [illegible] მოლახეს.—დასავლეთის ფრონტზე გერმანელები იმარჯვებენ. —ოსთა ბრბოები მალებს იკრებენ: რაზმელები მათ ამარცხებენ; გაანთავისუფლეს დატყვევებულთა ნაწილი.—ოსები ზემო იმერეთშიც გამოჩნდნენ.—ბათომის მხარეს სოც.-ფედ. რაზმს დღემდე ხუთი კაცი დაუჭრეს, ხოლო ერთი მოუკლეს.

ხანცხადებების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 50 კაპ., უკანასკნელზე—30 კაპ., კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ—1 მ., უკან—50 კ. ფასი სამგლოვიარო განცხადების ზომაზე დამოკიდებული: 15×2 ღირს 8 მან., 20×2 ღირს 12 მან., 8 საათის შემდეგ სამგლოვიარო განცხადება მიიღება სტამბა „სახალხო საქმეში" (კ. თა ვართქილაძეხვეული „ნადეჟდა") ბარათის ქუჩა, სახლი № 14 ფლორები ორი მანეთით მეტი.

ყველა განცხადება კავკასიის გარეშე, მიიღება მხოლოდ რედაქციაში,

ხელის-მოწერა და ყოველგვარი განცხადებები მიიღება „სახალხო საქმის" რედაქციაში და კანტორაში ყოველ დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება, დაუბეჭდავი მეორე წერილები და კორესპონდენციები ხელ არ ინახება: ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები,

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სახაზინო ქ., ხარაჯიშვილის ს. № 6.

ტელეგრ. ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ „Сахалхо Сакмэ", ноч. ящ. 190.

ფასი ტფილისში და პროვინციაში 30 კაპ. რკ. გზის სადგურებ. 35 კაპ.

ტელეფონი 12—29

ტფილისი, 25 მარტი 1918 წ.

სოც.-ფედ. სარ. პ.

არჩილი და ქუთ. ფედერალურმა საბ-მანტიურა. ჰოდ დღეს შეუძლებლად სცნო არჩილის ხსოვნის თანადოდ ღირსება. არჩილი დემოკრატიის პირმშო შვილია, პარტიის ყველთვის შეუძლიან მტლად დაცვა [illegible] მიზნებს, მაგრამ არჩილი ქართველ ერის საგანძურიც არის, [illegible] ეროვნულ სინიდისად სახავს ხალხი, რომელიც დღეს ავანტიურის ქსელში გახვეული და ვერ შეუძლიან ღირსეულად თავის ხუთი წლის თავს ღირსეულად შეხვდეს.

მაგრამ დღიური საკითხის თვალსაზრისითაც საქართველოს დემოკრატიის მომავლის არა ნაკლები [illegible] გაუწირულების ჟამს სოციალისტ-ფედერალისტი—არჩილი, ის მოკავშირე არჩილის მოძღვრების საგნებით დაუწერელს კიდეც.

დღევანდელი ავანტიურის ხანაა. რევოლუციის ავანტიურისტები მართავენ. ავანტიურას აწარმოებს გარეშე მტერიც და შინაური ძალებიც. ამ ავანტიურის შინაარს გარედან ტერიტორიის დაპყრობაა, შინ კი მთავრობის [illegible]. როგორც პირველი, ისე მეორე მოქმედება აშკარა ხულიგანური და ანტი დემოკრატიული ოპერაციაა. დემოკრატიული და სოციალისტური პარტია ყოველთვის ფართოდ ხალხის თავისუფალ სურვილს, არა ძალადობას, არამედ დემოკრატიის კოლექტიურ [illegible] სობას. ამ ჟამად კი დემოკრატიულ მოძრაობის პრინციპი—ხალხის დერობება, გათვითცნობიერობა და ამ გზით ყველების ძიებისა ხახელმწიფოებრივ ორგანიზმზე—გაირყვნა, გარყვნეს ავანტიურისტებმა და ამ ქაოსში შეიძლება ხალხს სიუკუნით შეექმნა დემოკრატიული პრინციპები.

სოციალისტ-ფედერალისტთა პარტია ყოველთვის უარყოფდა პოლიტიკაში ავანტიურას. არიან ჩვენში პარტიები, რომელნიც მარტსა და ოქტომბერში იბადებიან, ხოლო აპრილსა და ნოემბერში სახელმწიფოს ხელში იგდებენ. ჩვენ პარტიას ოცი წლის ისტორია აქვს, მაგრამ ნელის, მტკიცე ნაბიჯით მივდიოდით მომავლისაკენ. იმიტომ ხდება ეს, რომ მარტისა და ოქტომბრის რევოლუციონერები ძალადობით, ავანტიურით ქმნიან საზოგადოებრივ აზრს, სახელმწიფოებრივ უფლებას და ამიტომვე, რომ როგორც ავანტიურისტები იბადებიან, ისევე ავანტიურისტულად კვდებიან.

არჩილი გვიქადაგებდა ავანტიურის მაგიერ ორგანიზაციას, მწყობრ მუშაობას, ბლანკისტური პოლიტიკა, პოლიტიკა პრონუნსიამენტოს ჩვენ არ გვწამს, ამისათვის უნდა დავაგროვოთ დემოკრატიული მასალა, ორგანიზაციულად გავწვრთნოთ ხალხი, რომ შეიძლება „კალაკლიზმის" სიმართლე ვიწამოთ. სოციალისტ-ფედერალისტთა ეს პოლიტიკა არჩილის ნაანდერძევი პოლიტიკაა და ამ პოლიტიკის დღეს მოგონება მართებს არა მარტო „დემოკრატიულ" ელემენტებს, რომელნიც მესვეურობენ, მთელ ეროვნულ ჯგუფებსაც, რომელნიც ავანტიურის გზით თავს გარიტავე და ეჭვქვეშ ქმნის.

დღემდე ომი გვღუპავდა, დღეს გვღუპავს ავანტიურა. ამ დამღუპველ პოლიტიკას მუდამ უარყოფდით, მისი უარყოფა შეგვასწავლა არჩილ ჯორჯაძემ და თუ არჩილის ამ მოძღვრებას დღეს მთელი ხალხი შეისისხლხორცებს, გადაარჩენს რევოლუციასაც და სამშობლოსაც.

არჩილ ჯორჯაძის ბარათები

I

კიტას ქაღალდებში აღმოჩნდა შემდეგი წერილი, რომელიც არჩილის ბარათებს ეხება. ცხადად ჩანს, რომ კიტას ხცოდნია, რომ პაკეთის შინაარსი კერძო მიწერ-მოწერას ეხებოდა.

არჩილის უკანასკნელი სურვილი აღსრულებულია

უკანასკნელ ნახვის დროს არჩილმა მითხრა: „კიტა, წერილებს ვსტოვებ შეკრულსა და დაბეჭდილს, ხუთის წლის შემდეგ გახსენი, შენ შეგიძლიან გამოიყენო იგი... საზოგადო ხასიათის მნიშვნელობა არა აქვს, მაგრამ მაინც შენ შეგიძლიან გამოიყენო. იმ პირს, რომლის წერილებსაც მე ვიწერდი (?), აქვს ჩემი მინაწერი წერილები. ვსთხოვე გადმოეცა შენთვის, ცოტა ყოყმანის შემდეგ დასთანხმდა. რაც შეიძლება მალე გამოართვი ის წერილები..." და მითხრა რამდენიმე სიტყვა, რომელიც თავის დროზედ იქმნება გამოქვეყნებული.

მე ვერ გავიგე რას ნიშნავდა „რაც შეიძლება მალე" და უთხარი, თუ გინდ ამავე საღამოს წავალ და ავასრულებ შენს სურვილებსა მეთქი.

ცოტა გაჯავრებულსავით მითხრა: „არა, არა, ეხლა კი არა როდესაც ყველაფერი გათავდება".

მაშინ მივხვდი მთელის ჩემის გულისტკივილით, რას ნიშნავდა „ყველაფერი გათავდება".

ე. ი. როცა მას დავესამარებდით, უკანასკნელ ამბორს უყოფდით.

გუშინ სხვა მის ხელნაწერებთან ერთად წერა-კითხვის გ. საზოგადოების კანცელარიას გადავეცით შეკრული წერილები, რომელსაც არჩილის ხელით აწერია: *) . . . .

წ. კ. გ. საზოგადოების კანცელარიიდან პირდაპირ გავემართე იმ პირთან, რომლის წერილებიც არის დაბეჭდილი და რომლისთვისაც არჩილის წერილები უნდა გამომერთმია. მე გადავეცი არჩილის სურვილი. მაშინვე თანხმობა განაცხადა, მხოლოდ ნება მთხოვა წერილების გადაწერისა სრულის თავგანწირულებით, უმდიდესის სიმშვიდით. მის გულში მთელი გენია ენთო, ცეცხლი სწვავდა მის სულს ამას ნათლად ვგრძნობდი.

„რა ბედნიერი ხარ შენ, ჩემს პირად მწუხარებას, ამისთანა საზოგადო მგლოვიარობასთან, აქ პირადი ტანჯვა უნდა დუმილით იყოს მოცული, უნდა დაფარული იყოს იგი და არა გამხელილი ჩემი დიდი ტანჯვა ის არის, რომ უკანასკნელ წუთებში ვერ ვნახე. მაგრამ გავს ეგრე უნდა მომხდარიყო გავს ეს საჭირო იყო, მიუცილებელი იყო. არჩილმა მითხრა, როცა შეგატყობინო მაშინ მნახეო... არ შემატყობინა... გავს ასე უნდა მოქცეულიყო... არჩილი ახლა ბედად არას იტყოდა, ყოველივე მის გადაწყვეტილებას ღრმა საფუძველი ჰქონდა... გავს ეს ასე უნდა მომხდარიყო. მითხრა მან ცრემლიანმა მაგ წერილების შესახებ მე არჩილმა უკვე ნიშნეს ჩემს მითხრა. განსაკუთრებით ჩვენ არჩილთან გრძნობის შეხვედრით. თქვენ, რომ გადით მითხარით ჩემი წერილები ამას გადაეცით. არჩილს ვერ გაუგია ჩემი სიტყვები, მე მაშინვე დავეთანხმე, ოღონდ პირველად გავიგე, რათ უნდა მიეცა შენი წერილები მაგას-მეთქი?..

ნაღდად, როცა მოვკვდებიო.

მაშინვე თანხმობა გამოუცხადე.

დღესაც ვასრულებ მის სურვილს და წერილებს მოვართმევთ. ამგვარად არჩილის უკანასკნელი და ერთად ერთი სურვილი, რასაკვირველია სურვილი პირად გრძნობათა სფეროში—აღსრულებულია და ხუთის წლის შემდეგ ქართული საზოგადოება გაიგებს მისთვის უცნობ თვისებებს ამ ფრიად შესანიშნავის, მაღალ ნიჭიერის პიროვნებისას.

კიტა აბაშიძე.

—

როგორც სჩანს კიტას ეს წერილები მართლაც მიუღია, იმ წამსვე დაუბეჭდავს და არჩილის დაბეჭდილ პაკეტთან ერთად წ. კ. ს. მუზეუმისთვის შესანახად გადაუცია. ერთი პაკეტი მაშასადამე არჩილის მიერ იყო დაბეჭდილი, ხოლო მეორე კი დაბეჭდილი უნდა ჰქონოდა კიტას დასახელებული პიროვნებან მიღებული ან და თვით მის მიერ უნდა იყოს მიღებისთანავე დაბეჭდილი.

დ. უ.

II

არჩილ ჯორჯაძემ ორი პაკეტი დასტოვა. ეს პაკეტები მისი გადაცვლების ხუთი წლის შემდეგ კიტა აბაშიძეს უნდა გაეხსნა. ამგვარად ერთი თვალსაჩინო მოღვაწე ჩვენი კულტურულ აღორძინებისა მეორეს, არა ნაკლებ მნიშვნელოვან მოღვაწეს თავისი გულის საიდუმლოს ანდობდა. ეს გარემოება საკმარისი იყო რათა ჩვენს საზოგადოებას ნაანდერძევ წერილების შინაარსი ჩვენი ეროვნული ცხოვრების საერთო მიმდინარეობისათვის დაკავშირებია. მაგრამ არჩილის წერილები თავისი პირდაპირი შინაარსით კიდეც რომ ყოფილიყო საზოგადო ცხოვრებასთან დაკავშირებული, იგი მაინც მარტო იმდენად იქნებოდა მნიშვნელოვანი, რამდენადაც ჩვენი დიდი პუბლიცისტის ეროვნულსა და სოციალურ აზროვნებას ნათელს მოფენდა. ბარათებს მისი აზრისა და ფიქრის მხოლოდ ერთ-ერთი ნიმუშის მნიშვნელობა ექნებოდა, და ამ მხრივ მისი მსოფლმხედველობის დასახასიათებლად გამოდგებოდა. მაგრამ ასეთი მნიშვნელობა არსებითად არჩილის ყველა სხვა მნიშვნელოვან ნაწარმოებსაც აქვს. მოულოდნი არ გამართლდა და ნაანდერძევი პაკეტები კერძო მიწერ-მოწერის შინაარსის აღმოჩნდა. მით უკეთესი ჩვენთვის. არჩილის სულის სიღრმის წვდომისათვის ამას მეტი მნიშვნელობა აქვს ვიდრე შეცნიერულ, ტრაქტატს ან განყენებული აზროვნების ნაყოფს, თუნდ ეს აზროვნება ძლიერ ხაინტერესოსა და მნიშვნელოვან საკითხის გამოც ყოფილიყო ამოძრავებული. რაც უნდა იყოს ადამიანის აზროვნების პირველი წყარო მაინც მისი გრძნობების სამყაროა. თუ გსურთ სრული, მთლიანი სახე მიიღოთ მისი აზროვნებისა, თუ გსურთ მის შინაარსს გულში წვდეთ, ჯერ თვითონ ადამიანის გულში ჩაიხედეთ; გაიგეთ, რა ამოძრავებს და აღელვებს მას, და მხოლოდ შემდეგ სთქვით, როგორია ნამდვილი სახე მისი მსოფლმხედველობისა ინტიმური და ფარული ჩვენი ბუნებისა განა ის გარემოა ის არის სადაც პირველად ითესება და ხარობს თესლი ჩვენი პიროვნების მიმართულებისა და ინდივიდუალობისა?

არჩილის წერილები სწორედ ისეთია, რომ იქ მთელი მისი სულის ინტიმური მხარეა გამომჟღავნებული. ამას თვითონ არჩილი ამბობს თავისი წერილების შესახებ. რა გასაკვირველი არის შემდეგ, თუ ნაზი გრძნობისა და კვდება მოსილობის პატრონს არ უნდოდა რომ ასეთი შინაარსის წერილები მანამ ჩავარდნოდა ხელში საზოგადოებას, სანამ მათი მნიშვნელობა არ მომწიფდებოდა. მან ახლაც სწორედ გაზომა, დღევანდელი, დღე, როდესაც არჩილის მდელვარების ჩანგი, მისი ხალხი და მისი ქვეყანა თავის, ბედის გაბედვის საქმეს თვითონ კიდებს ხელს ეს დღევანდელი დღე გვაგალებს, არჩილ ჯორჯაძის აზრთა ფიქრთა და ფიქრთა შესახებ ჩვენ თავს ანგარიში ჩავაბაროთ. და ამ მიზნისთვის მისი სულიერი ცხოვრების ინტიმური მიმდინარეობის ცოდნა საუკეთესო იარაღია.

დღევანდელ წერილში მხოლოდ ორიოდე მნიშვნელოვან მომენტს მივაპყრობ ყურადღებას.

როგორ ახასიათებს არჩილი თავის მოღვაწეობის მთავარს მკვეხაგ ძარღვს? რა მკვებავდა, აჯეროვებდა და ამოძრავებდა მის სულს სხეულში იმ ღრმა სულიერ ცხოვრებას, რომელიც სიკვდილით შეწყვეტილის პირზე მდგომს უკვდავების კვარცხლბეკს უხლოვებდა? „რომელსაც ჩემ ნაწერებს კითხულობ, მაგონდება თქვენი (ფრიად გადამეტებული) აზრი ჩემს შესახებ, თითქოს მე ვიყო „მოაზროვნე" ვიყო, გინდ „პუბლიცისტი". არ ვიცი, მართლა მოაზროვნე ვარ თუ არა (ამის ელემენტები უნდა მქონდეს), ხოლო ერთი რამ ცხადია, სახელდობრ ისა, რომ ჩემს არსებაში ხშირია ისეთი მომენტები, როდესაც მე ნამდვილი „საზოგადო მოღვაწის" სული მამოძრავებს და როდესაც მთელი ჩემი სულიერი განწყობილება თავს იყრის ჩემი სამშობლოს მტანჯველი პრობლემის გარშემო. მე საოცრად მიტაცებს ძველი, მრავალსაუკუნიანი ქართული კულტურა და ხალხი, მიტაცებს აზრი, რომ მისი აღორძინების ხანა იწყება, მაგრამ ეს აღორძინება ფრიად მძიმესა და პირდაპირ ტრაგედიულ პირობებში ხდება. ბრძოლა რუსეთის სახელმწიფოებრიობასა და ქართულ კულტურასა და ხალხს შორის მძაფრ გამოძახილს პოულობს ჩემს სულში, და მე არ მინდა უკან დავიხიო და არც არას დროს დავიხევ უკან. მართლია მე მიყვარს ცხოვრების გმირიული გარსი, მაგრამ ასეთი სულიერი განწყობილების გავლენით ადვილად ვიტყვი უარს უსინანულოდ და უეჭველად ცხოვრების ჭრელ ფერადებზე". ამ გვარად, არჩილის გული მშობლიური ხალხისა და სამშობლო კულტურის სამსხვერპლოზე იწვის. იგი მებრძოლია მათი აღორძინებისთვის, იგი რევოლუციონერია, რომლისთვისაც „ჭრელ ფერადებს", ამ „ცხოვრების გმირიულ გარსს". არავითარი შეგუებულის ძალა არა აქვს.

ეს არც საკვირველია ისეთი გრძნობის ადამიანისათვის, როგორიც არჩილი იყო აბა მოისმინეთ, რას ამბობს იგი ერთ-ერთს წერილში თავისი სულის მთავარი მიმართულების შესახებ. „მე ერთგვარი კეთილგანწყობილებისა გრძნობები მაქვს ყველა ადამიანისადმი (ეს მე ხშირად მემართება), და ეს უკეთესია, ვიდრე მტრული დაპირისპირებულება მსოფლიოსთან. უკეთ ადვილი ხდება ცხოვრება და გულში მეტი სიხარულსაც გრძნობ, რადგან საკვირველ „სიხარულ-სევდას", რომელიც ცოტათი გულს უტკენს, მაგრამ ასე უფრო სრულად ცხოვრობ", და ამას ამბობს იმ დროს, როდესაც ავადმყოფობა მორეული ჰქონდა და თვით წერილის დაწერის დროსაც მის ბასრ ბრჭყალებში გრძნობდა თავს. საზოგადოდ ცნობილია, რომ გაუკეთურნავი სიცოცხლე ...ნი უკმაყოფილებისა და მტრულ გრძნობებს იწვევს ქვეყნისადმი ავადმყოფის სულის სიღრმეში. მაგრამ არჩილის თბილი გული, მისი ადამიანისადმი სიყვარულის გრძნობის ფეთქვა განუკურნებელმა სენმაც ვერ შეაჩერა.

ამნაირად ცხადად სჩანს, რომ არა მარტო მშობელი ხალხი, არა, ადამიანიც საზოგადოდ, ვინც უნდა იყოს იგი არჩილის მეგობარი იყო, ეს წმიდანი ისეთ შთაბეჭდილებას სტოვებს, თითქოს იგი სიცოცხლისაკენ მიდიოდეს და ამავე დროს ყოველ ცოცხალ არსებას ლოცვასა და კურთხევას უგზავნიდეს! მაგრამ ეს არ არის უმოქმედო პასიური კეთილგანწყობილება. არა არჩილი მარტო მიტომ ცოცხლობს, რომ მას განუწყვეტელი და დაუღალავი შრომა სწყურია ადამიანისა და ერისათვის. „ძალიან ავად ვარ. ძალას წამლებით ხელოვნურად ვიწვევ. მაგრამ შემოქმედის სულიერი შეგნება მაინც შეუძლია, და მე ძალიან ბევრს ვმუშაობ".

რას აკეთებს იგი? „ვასრულებ ქართველი ინტელიგენციის ისტორიის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ეპოქას. დამრჩა კიდევ ერთი. ამგვარად მონოგრაფიათა მთელ რიგში ქართული ინტელიგენციის ისტორიის ყველა ტიპიური მომენტი იქნება შესწავლილი. ამის შემდეგი შესაძლებელი იქნება ხელი მოვკიდო დიდ შრომას—თვით ისტორიას ქართული ინტელიგენციისას"... „სრულიად შეუფერებელ დროს გავხდი ავად. როგორც წინადაც მითქვამს თქვენთვის, განზრახული მაქვს ჩემი ნაწერების გამოცემა. პირველი ტომის რედაქცია მოვასწარი. მეორე ტომისათვის საჭირო იყო ზოგი რამ დამეწერა, მაგრამ, როგორც ვხედავ, ვერ მოვახერხებ. სულ ხუთი წიგნი იქნება. მომავალი წლისათვის ვფიქრობ მთელი გამოცემის დასრულებას. თუ მოვასწარი ჩემს სიცოცხლეში ყველას განხილვა, ჩემთვის ეს დიდი კმაყოფილება იქნება. მაგრამ თუ ყველა ვერ მოვასწარი, სამი ტომის განხილვა მაინც ძალიან მინდა, რადგანაც თუ კი რამ მნიშვნელოვანი დამიწერია (რა თქმა უნდა შედარებით), ყველა ამ სამ ტომში იქნება მოთავსებული"...

არჩილმა არ იცოდა მოსვენება. იგი ჩქარობდა, რადგანაც დარწმუნებული იყო, რომ ულმობელი სენი დიდ ხანს არ დააცლიდა მას მუშაობას.

როდესაც ადამიანი თავისი ძალების შეუფერებელ სამოქმედო ასპარეზს ირჩევს, მისი ცხოვრება და მუშაობა ტანჯვისა და უკმაყოფილების წყაროდ იქცევა. იგი იძულების სიმძიმის ქვეშ კვნესის და დესპოტის თავის ბედს. ხოლო არჩილი ასეთი არ არის, სჩანს, მას თავისი ძალების შესაფერი ასპარეზისთვის მიუგნია. იგი ბედნიერია მხოლოდ მაშინ, როდესაც თავის საყვარელ საქმეს აკეთებს.

„თქვენ უკმაყოფილებას (ან როგორც თქვენ თვითონ ამბობთ, სიცოცხლეს) გრძნობთ. და ეს უკმაყოფილება შეუჩერებლივ იზრდება თქვენს არსებაში. მაგრამ ეს იმით აიხსნება, რომ ძალები გეზრდებათ და გემატებათ, ხოლო გამოსავალი ვერ მიგიციათ მათთვის. ეს უმოქმედობის ბრალია. ნამუსიყოფა, მოქმედება,—აი რა შეიძლება ტრაგედიის ყველა უძნელეს პრობლემას, რა ძლევს სულის წინააღმდეგობასა და სიმრთელეს, როდესაც მე ვმუშაობ... ხსიცოცხლისა და სიკვდილის პრობლემას ჩემთვის ნათელი ეფინება. მაშინ სიკვდილი ჩემთვის არ არსებობს. მე უკვდავად ვგრძნობ თავს, აბსოლიუტურ ბედნიერად, ჯანმრთელად, ჩემი ავადმყოფობის მიუხედავად. ტყუილად კი არ შიშობენ ადამიანის ნებას ყოველი რელიგია. თქვენ ამბობთ: „მე ყურადღებას აღარ მივაქცევ ჩემს სულიერ სევდას, მაშ რა ვქნათ!"—თქვენ არ ხართ მართალი. არ შეიძლება ხანგრძლივად იცხოვროს ადამიანმა სულიერი სევდიანობით. არ შეიძლება მუდამ გრძნობდე ქრონიკულ ბოროტებასავით სულიერ სიცალიერეს. მაშ რა ვქნათ? რაც გინდათ, ხოლო უნდა ქმნათ კი რამე, უნდა იმუშაოთ"...

მაგრამ მარტო მუშაობა არ არის საკმარისი ადამიანის კმაყოფილებისათვის. არჩილს ეს კარგად ესმის, და ამიტომ მისი აზრით საკუთარი დანიშნულების მოძებნა არის საჭირო.

„ის გარემოება, რომ თქვენ საზოგადოდ გადაწყვიტეთ, რომ „მეცნიერი" არას დროს არ იქნებით, რომ თქვენ არა გაქვთ მიმართულება სისტემატიური მეცნიერული მუშაობისა, მე სრულიად არ მაღონებს. აი, როდესაც თქვენ ამას ლაპარაკობთ, ამით იმ „წმინდა ქალებზე" გაცილებით უფრო მომწიფებულად და შეგნებულად მეჩვენებით, რომელნიც არაფერს ანგარიშს არ უწევენ და ფიქრობენ, თითქოს შესაძლებელი იყოს საკუთარი ნიჭების რესურსებისა და ძალების საკუთარი სულის მიდრეკილებასთან შეუთანხმებლად იცხოვრო"...

ასეთი შეუთანხმება საკუთარი მისწრაფებისა და ბუნებრივი სულიერი ძალებისა და მის ნიადაგზე ფრთა გაშლილი მოქმედება, არჩილის რწმენით, ერთად ერთი საფუძველია კმაყოფილებისა და ბედნიერების გრძნობის განსამტკიცებლად.

„მე ეს ეს არის ყველა საჭირო მასალა მივიღე, რომელიც ჩემი ერთი დიდი შრომისათვის არის საჭირო: ამ ზაფხულს მინდა ამ შრომის დასრულება. ეს გარემოება მე ძალიან მახარებს. აკი გითხარით, რომ შრომა და მოქმედება ერთად ერთი გადაწყვეტაა სიცოცხლის პრობლემისა! ვერავითარი თეორია, ვერავითარი მეტაფიზიკა ვერ იქმს იმას, რაც ნათლად გეჩვენება, როდესაც თავს მოძრაობაში და წინსვლაში გრძნობ. თქვენ მეკითხებით, ვსძლევ მისტიკას, თუ მან მძლია მე. არა, მან ვერ მძლია მე, ხოლო ვსძლევ თუ არა, ჯერ კიდევ ვერ გეტყვით. ერთი კი ცხადად ვიცი: ყოველთვის, როდესაც კი ვმოქმედობ, მე გამარჯვებულად მიმაჩნია თავი. მაშ საკითხი მხოლოდ იმაშია, რომ ყოველთვის მოქმედად ვიგრძნო თავი, თვით ავადმყოფობის დროსაც. აი ეს ჯერ კიდევ მიჭირს. როდესაც ჩემს სულიერ ძალებს ვხიზავთ, მაშინ სიკვდილი თავისაკენ მიზიდავს და მეც ადვილად ვუშვებ სიცოცხლეს; მაშინ ყველა ჩემი საქმე გრძნობები, ყველა ჩემი პლანები და ნამუშევარი ამაოდ მიმაჩნია.

საინტერესო პრობლემაა! პრობლემა სიკვდილ-სიცოცხლისა ნებისყოფის ამოძრავებასთან არის დაკავშირებული. არჩილის აზრით, ვინც თავისი დანიშნულების მიმართულებით მოქმედობს, მისთვის სიკვდილი არ არსებობს. ხოლო ვინც უმოქმედოა, მისთვის სიცოცხლე ყველა თავის მიმზიდველ ფერს ჰკარგავს და საკვდავი წარმტაც სახეს აჩენს.

მაგრამ კმარა. არჩილის თითქმის წერილშიც სიბრძნის უშრეტი წყარო მოსჩანს. ამ პატარა წერილში მათი წერტილი აქ დავსვა. ერთ მათგანში არჩილის სულის ინტიმურ მხარეს შევეხებით.

დ. უზნაძე.

---

*) ამ იმ წარწერის ტექსტია გამოტოვებული, რომლის მიხედვითაც ბარათების გახსნა კიტას ევალებოდა. დ. უ.

დიდედა აკულინა ნიკოლოზის ასული შვილიშვილით კაჭარავები, ბიძები იონა ნიკოლოზის ძე ჭითავა, გერასიმე და არსენა ნიკოლოზის ძენი ფოჩხუები ოჯ. ხითურით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ 18 მარტს უდროოდ გარდაიცვალა საყვარელი

გერმანე [ჭიჭიკო] ნარსია

პანაშვიდი 20 მარტს საღამოს 6 საათზე მიცვალებულის ბინაზე (19 თებერვლის ქ. № 5. საკუთარი ს.) გამოსვენება 21 მარტს 3 ს. ტფ. სადგურზე წაასვენებენ ქ. ქუთაისს პოდგორნი ქ. საკუთარ სახში დაკრძალვა კვირას, 25 მარტს, ნაშუადღევის 3 ნახ. ს. პანაშვიდი ყოველ საღამოს 6 საათზე. 330

გულ დათუთქულნი და ღრმად დამწუხრებულნი მშობლები: დიმიტრი იოანეს ძე და ელისაბედ ნიკოლოზის ასული ნარსია და შვილები მათი: ნადია, გრიგოლი, კოწია მეუღლით, ვალოდია, ალიოშა, ოლია, თამარ, ელიკო, შალიკო და დისწული სოსო გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა, ნაცნობებს და მეგობრებს რომ 18 მარტს უდროოდ გარდაიცვალა საყვარელი

გერმანე (ჭიჭიკო) ნარსიასი.

პანაშვიდი 20 მარტს საღამოს 6 საათზე მიცვალებულის ბინაზე (19 თებერვლის ქ. № 5 საკუთარი სახლი) გამოსვენება 21 მარტს 3 საათზე ტფ. სადგურზე, საიდანაც წაასვენებენ ქ. ქუთაისში პოდგორნი ქ საკუთარი სახლი. დაკრძალვა კვირას, 25 მარტს ნაშუადღევის 3 ნახ. ს. პანაშვიდი ყოველ საღამოს 6 საათზე. 330

იულია და ცუცა გამყრელიძისანი სწირავენ უღრმეს მადლობას იმ პირთ, ვინც პატივი სცა მათ დაუვიწყარ განსვენებულ დედას

ნინო გამყრელიძის

ხსოვნას. პირადი დასწრებით და აგრეთვე წერილებით და დეპეშებით. 354

დამწუხრებული მშობლები: მღ. სილიბისტრო და სერაფიმა ალასხანის ასული, ძმები: მღ. ეპიფანე, არონ, ამბრო და ანტონ, ძმის შვილები: გიორგი, შალვა და ნოე ჩხაიძეები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ თათრებთან ბრძოლის დროს ჯავშნიან მატარებელზე 8 მარტს ტრაგიკულად მოკლულ იქნა ძვირფასი

პეტრე ჩხაიძე

დღე მიცვალებულის სამშობლოში გასვენებისა და დაკრძალვისა იქნება გამოცხადებული მას შემდეგ, როცა მიცვალებულს ტფილისში ჩამოასვენებენ. 352

თამარ ზაქარიას ასული აპაქიძე, სოფიო ზაქარიას ასული, ირაკლი ზაქარიას ძე და ეკატერინე ვასილის ასული მაჩაბლები შვილებით აუწყებენ მწუხარებით ტრაგიკულად გარდაცვალებას სოფ. ცხინვალში 19 ამ თვეს

ზაქარია [მაქრო] ირაკლის ძის

მაჩაბლისა

პანაშვიდი ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში კვირას 25 ამ თვეს დილის 1 ნახ. საათზე. 355

არჩილ ჯორჯაძე

ხუთი წელიწადი შესრულდა იმ შემდეგ, რაც არჩილ ჯორჯაძე გარდაიცვალა. მთელი მისი სალიტერატურო მოღვაწეობა იყო იდეიური ბრძოლა იმ იდეალებისთვის, რომლებიც ჯერაც არ განხორციელებულა და რომელთა განსახორციელებლადაც მომზადდა ობიექტიური შესაძლებლობა. რუსეთის თვითმპყრობელობა ის საშინელი, ბარბაროსული დაბრკოლება იყო, რომელიც შეუძლებლადა ჰხდიდა საერთოდ დემოკრატიულ შემოქმედებას და მით უფრო საქართველოს განთავისუფლებას პოლიტიკური მონობისაგან. რუსეთის თვითმპყრობელობა მაჯლაჯუნასავით აწვა ქართველ ხალხს და ჰბორკავდა მის სოციალ-პოლიტიკურს და ეროვნულს განვითარებას. რეპრესიები, სახრჩობელა, ციხე,—ყოველსაირი საშუალება იყო ხმარებული, რათა ეროვნულ ცნობიერებას არ შეეშუქებინა ქართველ ხალხში და ეროვნული პოლიტიკის გზაზე არ გამოეყვანა იგი. აი ამ დუხჭირსა, პოლიტიკურ-ჟანდარმული ეპოქის დროს აშუქებდა მამხნეველი სიტყვა არჩილ ჯორჯაძისა. საქართველოს პოლიტიკური განთავისუფლება და თავისუფალ საქართველოში საუკეთესო წეს-წყობილების, სოციალურ სამართლიანობაზე დამყარებული წეს წყობილების დამყარება მაშინ არჩილ ჯორჯაძეს ესახებოდა როგორც ბრწყინვალე იდეალი, როგორც ვარსკვლავი, რომელსაც გზა უნდა გაენათებინა პოლიტიკურს სიბნელეში მოხეტიალე ქართველი ერისთვის

არჩილ ჯორჯაძის გარდაცვალების ხუთი წლის თავზე მდგომარეობა იმდენად შეიცვალა, რომ ის, რაც მისთვის თეორეტიული პრობლემა იყო, ჩვენთვის პრაქტიკულად განსახორციელებელ საგნად გადაიქცა. ჩვენ უნდა ცხოვრებაში გავატაროთ, ხორცი შევასხათ იმას, რაც არჩილ ჯორჯაძეს იდეალად ჰქონდა დასახული. ამით არჩილ ჯორჯაძეს თავისი მნიშვნელობა არ დაუკარგავს და იგი ჯერ კიდევ ისტორიის საკუთრებად არ გამხდარა. პირ-იქით, იმდენად, რამდენადაც არჩილ ჯორჯაძის იდეალები ჯერ კიდევ არ განხორციელებულა, იმდენად, რამდენადაც ახალი თვისების დაბრკოლებანი ეღობება წინ ჩვენს იდეალებს, არჩილ ჯორჯაძე ჯერ კიდევ ხელმძღვანელობს ჩვენს აზრებს და ჯერ კიდევ გვიჩვენებს, საითკენ უნდა იყოს მიმართული გზა ჩვენი პოლიტიკური შემოქმედებისა.

გარდაცვალების ხუთის წლის თავზე კვლავ გავიხსენოთ სპეტაკი აზრები და სპეტაკი გრძნობები არჩილ ჯორჯაძისა, შემოვიკრიბოთ პარტიული დროშის გარშემო, გადავიტანოთ ხალხში მისი აზრები და ვეცადოთ, რაც შეიძლება მალე განხორციელდეს ის, რასაც ემსახურებოდა არჩილ ჯორჯაძე...

კარ. ჯაჯანაშვილი.

არჩილის ხსოვნას

არჩილ ჯორჯაძე, რომელმაც პირველად ჩამოაყალიბა საქართველოს პოლიტიკური იდეალი—საქართველოს ეროვნულ-ტერიტორიალურ ავტონომიის სახით და ეს იდეალი გაჰხდა პოლიტიკურ პარტიის მოთხოვნილებად, თავიდანვე იმ აზრის იყო, რომ ავტონომიის განხორციელება მხოლოდ მაშინ შეიქნებოდა შესაძლებელი, როდესაც იგი გახდებოდა იდეალად ქართველი მშრომელი ხალხისა. ორი რამ იყო საჭირო ამისათვის: ერთი—გავრცელება სოციალისტ-ფედერალისტთა მოძღვრებისა მშრომელ კლასში და მეორე—შეთანხმება საქართველოს ავტონომიის მოსაპოვებლად საქართველოში მომქმედ პოლიტიკურ პარტიებთან.

არჩილი შენატროდა იმ მომენტს როდესაც ეს მოხდებოდა და დარწმუნებული იყო, რომ ამ საკითხში ადრე თუ გვიან შეთანხმებაც შესაძლებელი იყო და დემოკრატიის გაერთიანებაც.

სიცოცხლეში არჩილს ეს არ მოესწრო. ქართველი მშრომელი მასსა სოციალ-დემოკრატიის დროშის ქვეშ იყო შეკრებილი და ეს პარტია კი საქართველოს ავტონომიის საკითხს ტაქტიკის საკითხად აცხადებდა და უარყოფით სწყვეტდა მას. სოციალისტ-ფედერალისტთა პარტია კი უმთავრესად ინტელიგენტთა პარტია იყო და მხოლოდ არჩილის გარდაცვალების წინა წელს ჩაეყარა საფუძველი პარტიის მუშათა ორგანიზაციას.

ხუთმა წელმა განვლო მას შემდეგ, რაც არჩილი აღარა გვყავს. რა მცირე ხანია, მაგრამ რა ცვლილება მოხდა ქართველ ერის აზროვნებაში და მის ცხოვრებაში! ის, რასაც არჩილი შენატროდა, დღეს ასრულებულია. მუშათა ორგანიზაციები სოც.-ფედ. პარტიაში მეტად თვალსაჩინო როლს თამაშობენ, ეროვნული იდეალი მათ თავის იდეალად გაიხადეს და ამ იდეალისათვის მზად არიან სიცოცხლე შესწირონ და .... სწირავენ კიდეც. სოციალ-დემოკრატიული პარტია კი, 15 წლის გამავლობაში მებრძოლი საქართველოს ავტონომიას წინააღმდეგ, დღეს ამავე ავტონომიას ისახავს საგნად განხორციელებისა მხოლოდ მორიდებული სახელით პოლიტიკურ თვითმართველობისა.

განხორციელდა ის, რასაც არჩილი მუდამ ესე შენატროდა, სინამდვილედ იქცა მისი შეთანხმების იმედი, გაერთიანდა დემოკრატია და თითქოს უნდა დაწყებულიყო კიდეც შემუშავება პრაქტიკულ გეგმის საქართველოს ავტონომიისა.

მაგრამ ბედმა გვიმუხთლა.... და ნაცვლად ჩვენი პოლიტიკური იდეალის განხორციელებისა ჩვენა ვსდგევართ საშინელ აჩრდილთან, რომელიც სიკვდილს უქადის ქართველ ერს და უმთავრესად კი, რა თქმაუნდა, მის მშრომელ მასსას, მის დემოკრატიას.

არჩილის სიცოცხლის დროს, რაც უნდა ავად ყოფილიყო იგი, ჩვენ მაინც მივდიოდით მასთან მისი აზრის გასაგებად ჩვენი ცხოვრების მიერ წამოჭრილი ყოველ საჭირ-ბოროტო საკითხის შესახებ.

ამ საშინელ და საბედისწერო ჟამს ჩვენი სამშობლოს ცხოვრებისა და ქართველი ერის განსაცდელისა, ჩვენ არჩილი აღარა გვყავს, რომ მისი აზრი გავიგოთ სამშობლოს თანამედროვე მდგომარეობის შესახებ, ჩვენ არ შეგვიძლია მისი დაავადებულ გულ მკერდის სიღრმიდან ამოსული მთრთოლარე ხმით წარმოთქმული სიტყვა მოვისმინოთ, გამხდარ და ფერმკრთალ, სიკვდილის ბეჭდით აღნიშნულ სახეზე მისი ცეცხლიანი თვალები ვიხილოთ და მის გმირულ სულს ვეზიაროთ. ამის შეძლება ჩვენ აღარ გვაქვს მაგრამ ჩვენ ვიცით, თუ რას გვეტყოდა ამ დროს არჩილი: შეკრიბეთ ძალა მტერთან შესაბრძოლებლად, შეუთანხმდით ამ საქმისათვის სხვა ჯგუფებს და მაშინ სამშობლო განსაცდელისაგან იქნება დახსნილი.

და ჩვენი ამხანაგების დიდმა ნაწილმა უკვე შეასრულეს ის, რასაც არჩილი იტყოდა: წავიდნენ ჯარში და წითელ რაზმებში სამშობლოს და რევოლუციის დასაცავად.

ასევე იქცევა სხვა პარტიათა დროშის ქვეშ მდგარი მშრომელი მასსა.

აქაც მოხდა ქართველ დემოკრატიის გაერთიანება, აქაც ასრულდა ის, რასაც არჩილი შენატროდა: სამშობლოსა და მისი დაცვის საკითხი მშრომელმა ხალხმა იდვა თავს.

ყველა ეს იმედს გვაძლევს, რომ ჩვენი სამშობლო აცდენილ იქნება იმ საშინელ მომავალს, რომელსაც მას უმზადებს მტერი, და არჩილის იდეალი საქართველოს პოლიტიკურ თავისუფლებისა მოკლე ხანში ცხოვრებაში გატარდება. მაშინ ჩვენ, მისი თანამოაზრენი, წავალთ მის წმინდა საფლავზე და იქ ჩავძახებთ ჩვენს მოძღვარს, რომ ასრულდა ის, რასაც მან შესწირა თავისი სიცოცხლე, განთავისუფლდა ქართველი მშრომელი ხალხი პოლიტიკურ და ეროვნულ ჩაგვრისაგან და აწ დგება ჟამი ბრძოლისა მისი ეკონომიურად განთავისუფლებისათვის.

შ. მიქელაძე.

ს.-ფედერალისტი

დღეს არჩილს ვიგონებთ, არა მარტო ჩვენ, მისი მიმდევრები, ამხანაგები, ქართველი ერი დღეს არჩილს მოიგონებს.

არის ადამიანები, რომელთაც ერი ვერ დაივიწყებს. სამარის პირსაც მოიგონებს თავის სანუკვარ შვილს. ასეთ პატივს ერი ეროვნულ მოღვაწეს მისცემს მხოლოდ.

არჩილი ეროვნული მოღვაწეა, ეროვნული მებრძოლი. ერს მან ადრევე მიაქცია თვალის ისარი, ვიდრე თვით ერმა გულის ყური მიაპყრო არჩილს. ყველა რომ ვაგინებდით არჩილს, მაშინ არჩილი ჩვენთვის ზრუნავდა, ჩვენ გავრბოდით მისგან, ის კი ჩვენსკენ, ერისაკენ მოისწრაფოდა.

დღეს დავინახეთ შეცდომა და არჩილი შეყვარებულ გულის საგანძურად გადაგვექცა.

არჩილი ერს დასტრიალებდა, მაგრამ უბრალო სანტიმენტალიზმით და რომანტიზმით კი არა, ის პირველი შეგნებული ეროვნული მოღვაწე იყო.

საქართველოში დაიბადა არჩილი, აღმოსავლეთის საზღვარზე, აქვე აღიზარდა, რუსეთში მომწიფდა და ევროპაში დაგვირგვინდა მისი მსოფლმხედველობა. ეს ეტაპები არჩილის ცხოვრებისა არჩილის მსოფლმხედველობის ეტაპებია.

სოციალიზმი არჩილის ბუდე იყო და დარჩა სამუდამოდ, იცვლებოდა მისი მხოლოდ ინდივიდუალური სახე. ინდივიდუალიზმიდან, ატომიზმიდან არჩილის გონება კომუნიზმისა და ფედერალიზმისაკენ გადაიხარა.

აღმოსავლეთი ცენტრალიზმის ბუდეა, დასავლეთი, ევროპა—ფედერალიზმის სამყარო. მე-XX საუკუნე ფედერაციის საუკუნეა და ამ ახალს, ევროპიულ სულისკვეთებას არჩილი მე XX საუკუნის მიწურულს დაეწაფა და ამ ახალ, ევროპიულ, ფედერალისტურ სულისკვეთებით ევროპიდან საქართველოში, აზიის საზღვარს ჩამოვიდა არჩილი და დროშა აღმართა სოციალიზმ-ფედერალიზმისა.

ყველას ეუცხოებოდა მაშინ არჩილი. ახალ სიტყვას ამბობდა, ამიტომ ერის ყურადღების საგანი გახდა, ბრძოლის ცენტრი არჩილი შეიქნა და მოწინავე აზრის მქადაგებელი ამ ბრძოლაში კიდევ უფრო ჩამოყალიბდა, გამაგრდა.

არჩილის გამარჯვება სოციალიზმ-ფედერალიზმის გამარჯვებაა საქართველოში. ეხლა ყველამ იცის ნაყოფი ამ მიმართულებისა. სოც. ფედერალისტთა პარტია იზრდება, მისი წევრთა რიცხვი დღეს გაცილებით მეტია, ვიდრე გუშინ იყო, ჩვენი აზრი სახალხო აზრად გარდაიქცა და ფედერალიზმის და არჩილის ოცნება ეხლა სადღეისო, სამოქმედო საქმედ გვაქვს დასახული.

არჩილმა აზროვნებით შეხედა ჩვენს ერს, დღეს ქართველი ერი მოქმედებით, არჩილის აზროვნების განხორციელებით აძლევს არჩილს პასუხს.

ეს საუკეთესო გვირგვინია არჩილ ჯორჯაძის სახელისა. ეს ქართველი ერის გამარჯვებაა და რამდენადაც [illegible] პოლიტიკა მალე განახორციელებს არჩილის პოლიტიკურ სქემას, რაც დღეს არის საჭირო, მით მალე გაუმჯობესდება ქართველი ერის მდგომარეობა, დემოკრატიის, რევოლუციის სიცოცხლე და მაშინ ჯორჯაძის სახელი და დემოკრატიის სახელი ერთმანეთში გადაიხლართებიან, არჩილის მიზანიც, ქართველი ერის მიზანიც სინტეტიურად შეერთდებიან და ქართველობაც დიდი ხნის ბობოქრობის შემდეგ მშვიდობიანობის, ძმობა-ერთობის და სიმართლის ნაპირს მიადგება.

თედო ღლონტი.

სიცოცხლის პრობლემა

არჩილ ჯორჯაძეს მთელი საქართველო იცნობს, როგორც საუკეთესო, ხაზ დარაჯს მშობელი ერისა და მთლიანი ეროვნული სულის მატარებელს.

როდესაც საზოგადოებაში არჩილ ჯორჯაძეზე ლაპარაკობენ, მხედველობაში აქვთ უმთავრესად მისი ეროვნული მოღვაწეობა, რომელიც ეროვნული დემოკრატიზმის ქადაგებასა და ხალხში ეროვნული შემეცნების შეტანაში გამოიხატა.

მაგრამ... ეს არ შეადგენდა არჩილის სულის მოძრაობის მთავარ ტეხილს. მისი სულის ლტოლვილება არ იყო მიმართული განსაკუთრებით ეროვნული მოღვაწეობისაკენ და მით უმეტეს, ამით არ ამოიწურებოდა სავსებით.

მთავარი საკითხი, რომელსაც მისი სული სიკვდილამდე დასტრიალებდა და მისი აზრი არკვევდა, იყო საკითხი სიცოცხლის პრობლემისა. თუ გნებავთ, მთელი რიგი საკითხებისა, რომელიც მან გამოირკვია და გადაჭრა ეროვნული პრობლემის გარშემო, მჭიდროდ არის დაკავშირებული სიცოცხლის პრობლემასთან და ის შრომები, რომელიც მან ამ დარგში, ე. ი. ეროვნული და საზოგადოებრივი საკითხების გარშემო, მოგვცა პირდაპირი ნაყოფია იმ ღრმა მუშაობისა, რომელსაც ის მთელი თავისი სიცოცხლე აწარმოებდა თავისი, მთავარი პრობლემის გადასაჭრელად.

რას წარმოადგენს ადამიანი, როგორც არსი, სად უნდა ვეძიოთ მისი დასაბამი და რა არის მისი ბოლო? აი, ის კითხვები, რომელთა პასუხს მოითხოვდა არჩილის ბუნება. ამ კითხვების გადაჭრა მისთვის აუცილებელი იყო, რადგან მათთან დაკავშირებულია ყველაზე უფრო მთავარი საკითხი: რა აზრი აქვს ადამიანის არსებობას?

პირველ ყოვლისა თავისი პრობლემის გადასაჭრელად არჩილმა მიმართა მეცნიერებას. გადასინჯა და დაამუშავა ყველა ის თეორია, რომელიც ადამიანის სიცოცხლე—არსებობას შეეხება. მაგრამ მეცნიერება უძლურია ისეთი საკითხების გადაჭრისათვის, რომელიც ცდათა სფეროს სცილდება და სულ სხვა სამყაროში არის განკერძოებული. მეცნიერება მხოლოდ ემპირიულ საზღვრებშია ძლიერი და მხოლოდ აქ შეუძლია მას ნათელი პასუხი გასცეს კითხვებზე.

არჩილი მიმართავს რელიგია-ფილოსოფიას. მაგრამ განა მეცნიერულად განწყობილ ადამიანს სანდო პასუხს გასცემს რელიგიურ-ფილოსოფიური კვლევა? აქ ხომ ფართო ასპარეზი ეძლევა თავისუფალ აზრს, რომელიც მეცნიერების „ცდას“ გადამდგარი სუსტია დაამტკიცოს ამა თუ იმ პასუხის ძლევა-მოსილობა, და თუ ეს ძლევა მოსილობა აკლია საარსებო საკითხის პასუხს, ის მეტად დროული და უნიადაგოა მეცნიერისათვის.

მაშასადამე, ვერც მეცნიერება და ვერც რელიგია ფილოსოფია ვერ დააკმაყოფილებდა არჩილს და მისი კითხვა: „რა აზრი აქვს ადამიანის არსებობას?“ რჩებოდა პასუხის გარეშე.

არჩილმა ვერ შესძლო ამ საკითხის გადაჭრა საზოგადოდ ისევე, როგორც ეს ვერ შესძლეს სხვა მოაზროვნეთ. მაგრამ კერძოდ საკუთარი პიროვნების შესახებ მაინც საჭირო იყო გამორკვევა და ანგარიშის მიცემა საკუთარი თავისათვის, თუ რად სცხოვრობს ის, მით უმეტეს, როდესაც ის დარწმუნებული იყო, რომ დღეს არა ხვალ მას სამუდამო განშორება მოელოდა.

21 მარტს საუკუნოდ განშორებისათვის განმზადებულ, კიდევ შესძლო რამდენიმე თვის წინ იმაზე წერა, რომ მან მიიღო უკვე საკმაო მასალები ერთი საკითხის გამოსაკვლევად და დიდად მოხარულია, რომ კიდევ მოასწრებს ერთი დიდი შრომის დამთავრებას.

„მე ეს ეს არის ყველა საჭირო მასალა შევკრიბე, რომელიც ჩემი ერთ ერთი დიდი შრომისათვის არის საჭირო, ამ ზაფხულს მინდა ამ შრომის დასრულება. ეს გარემოება მე ძალიან მახარებს, აქი გითხარით, რომ შრომა და მოქმედება ერთად ერთი გადამწყვეტია სიცოცხლის პრობლემისა! ვერავითარი თეორია, ვერავითარი მეტაფიზიკა ვერ იქმს იმას, რაც ნათლად გეჩვენება, როდესაც თავს მოძრაობასა და წინლტოლვაში გრძნობ... ყოველთვის, როდესაც კი ვმოქმედობ, მე გამარჯვებულად მიმაჩნია თავი. მამ საკითხი მხოლოდ იმაშია, რომ ყოველთვის მომქმედად ვგრძნო თავი, ავადმყოფობის დროსაც“.

ეს არის არჩილის უკანასკნელი სიტყვა სიცოცხლის პრობლემის შესახებ.

ს. ყ.

ფხიზელი დარაჯი

დღეს, ქართველი ერის ერთი ნაწილი, სევდიან ზეიმით იგონებს თავის მასწავლებელს, და მომავლის მზით თვალმოწყენილი გასცქერის დროის იმ ხუთ-წლოვან მანძილს, რომელმაც დააშორა იგი დიდი მასწავლებლის სიცოცხლის საზღვარს. არჩილ ჯორჯაძე.. რამდენ დიდებას ჰპოულობს ამ სახელში მის მოწაფეთა გუნდი, რომელთაც სწადიანთ არჩილის დღე იდღესასწაულონ, როგორც ქართულ სულის ტრიუმფი.

მეოცე საუკუნის დასაწყისს, ბინდით მოცულ საქართველოში, სადაც პირქუში აჩრდილები იზმორებოდა, გამოჩნდა იგი ახალი ცხოვრების მახარობლად.

მისმა მდიდარმა არსებამ შთაბერა ახალ თაობის ჭაბუკი სული, და საკაცობრიო ლაბირინტში მის მიერ საქართველოსათვის ჩვეულებ
ყენა ამ ახალთაობის მცირე
საქართველოს [illegible]
[illegible]
[illegible]
დილ ელოდნენ საქართველოს
რულს, მან აღმართა ახალი
საქართველოს აღორძინებისა.
ცხოვრების დროს, არჩილ ჯო
პირველმა სთქვა ახალი სიტყვა
საქართველოზე, და ამაშია მისი
ლიერე. ქართველი მშრომელი
პირველი მედროშე იგი იყო.
არჩილ ჯორჯაძე იმ ჯგუფს
ნოდა რომელმაც თავისი
ტანჯვის კოლონი საკუთარ
ქვეშ მოათავსა, გაიხარა თავის
სიხარულით, დროის მორიგი
სულის ტკივილი ბრძოლაში გაა
ჩვენ ცხოვრებასაც ჰქონდა
მაგრამ ახალ ცხოვრების ბრ
გაუვლელი. ჩვენი ცხოვრება
ში მიმდინარეობდა, ტყვეობის
ლი კი თავისუფლებაა. საქართ
თავისუფლებაზე ოცნებობდა
მეცხრამეტე საუკუნე, მაგრამ
ნება ვერ განჰკურნავდა ქართუ
წყლულს. ის ოცნება ისტორიულ
დიციებზე შენდებოდა, და თა
ლების მებაირაღტრენიც უკან
რებოდნენ. ფორმულა კი ითქვა,
ნი თავი ჩვენ უნდა გვეყუდნ
მაგრამ სისტემა არ არსებობდა
ვად-აზნაურობის თეთრ დარბაზშ
მოიშვა იგი.
არჩილ ჯორჯაძემ კი ბნელ
ფებში ჩასძახა ერის საშინელი
ბი, და ჩვენს ეროვნულ იდეალ
ცა დემოკრატიული ხასიათი.
ლი პრობლემა პირველად არჩილ
ჯაძის მიერ იქმნა დასმული,
პირველმავე იწყო მისი ისტო
ფილოსოფიური რკვევა. ეს არ
მან; თეორიის სფეროდან საქმის
ყანაში გადმოიტანა, გაავრცელა ის
ლი, რომლის ალში დღესაც
ლება უცხო დოგმათა გადმუსი
თეზისები.
ძნელი იყო იმ დროს ეროვ
პრობლემის დარაჯობა. სოც.-დე
პარტიისთვის, რომელსაც მთავარი
ზიციები უკვე დაპყრობილი ჰქო
ეროვნული საკითხი არსებობდა,
გორც საკითხი ბურჟუაზიულ ფე
ლური. იერიშის მიტანა იყო საქ
და იდგა მტკიცედ ეს საქართვე
მშრომელი ხალხის ხაზი და ულმ
ლი დარაჯი.—„რას ჰკარგავთ!
წარსულში თქვენ მარტოოდენ ბატ
ყმობის და ფეოდალობის ინსტიტ
ჰხედავთ; სულით და გონებით
არა ხართ დაკავშირებულნი არც
ძველ მწერლობასთან, არც პოეზ
თან, არც ხუროთ-მოძღვრებასთან,
მხატვრობასთან, არც მუსიკასთან,
ისტორიულ-ფილოსოფიურ ნაწარმოე
თან; არა ხართ დაკავშირებულნი ქარ
თულ კულტურასთან, და რა გასაკვირ
ველია, რომ დღეს, ამ კულტურუ
ტრადიციებს მოკლებულნი, მეძავე
ვით გაძვლეულ გამოძღვლულ „გმირების“
ცთუნებით, წარმავალ და უღღეო
დოქტრინებს აღიარებთ, უმისამართო
და უსიცოცხლო ფორმულებს იცავთ!“
—ასე ემუქრებოდა სოციალ-დემოკრა
ტიას, და ასე სასტიკად უდარაჯებდა
ეროვნულ კითხვას ქართველი დემოკ
რატიისათვის.
არჩილ ჯორჯაძის, ეროვნული ფი
ლოსოფია შესაძლოებამდინაც კი არ შეი
ცავდა რაიმე კონსერვატიულს, ან
რეაქციონურ ელემენტს, მისი ეროვ
ნული პოლიტიკა იყო პროგრესიული,
კრიტიკული, განმათავისუფლებელი.
არჩილ ჯორჯაძემ პირველმა სცად
ეროვნების ფილოსოფიის და სოცია
ლიზმის იდეათა შეუღლება, და
გვარად სათავე დაუდო იმ ჯგუფ
რომელიც ეროვნულ პრობლემ
სწყვეტს პოლიტიკურ ფედერალიზ
საშუალებით და სოციალისტურ მ
ძღვრების ამ პოლიტიკურ ფორმებ
აწარმოებს.
მაგრამ არჩილ ჯორჯაძის მდიდ
ბუნება ამით ვერ ამოიწურება. ჰკით
ლობ მის ნაწერებს და გამოჩნდ
მისი სულის სიმდიდრე. რაზე
სწერდა? რა პრობლემებს არ შეეხო
როგორც სოციოლოგი არკვევდა ძალ
ლებს ეროვნების წარმოშობის ისტ
რიის შესასწავლად, როგორც ჩვენი პ
ლიტიკურ ცხოვრების ისტორიკოსი,
იკვლევდა „მასალებს ქართველ ინტ
ლიგენციის ისტორიისათვის“, „თავა
აზნაურულ ინტელიგენციის პოლიტ
კურ აზროვნებას მე-XIX საუკ
„მეოთხმოციანელთა“ და „მეოთხმოცი
ათიანელთა“ პოლიტიკურ მოღვაწ
ბას“, გვიჩვენებდა „წარსულის გაკ
თილს“ და „დოკუმენტების მიხედვი
თუ „როგორ მოხდა?“—ეს 1905 წლ
დგ. პირველი რევოლუციამდე. „

ვოლიუციის შემდეგაც" გაუძღვა წინ ქართულ პოლიტიკურ აზროვნებას. აგვიწერა „გარდამავალი ხანა", გვიჩვენა „ჩვენი სატკივარი", გაფრთხილა ჩვენი „ავადმყოფი საზოგადოება", რომ არ გაძლიერებოდა „მავნებელი სენი", და დარბაისლური „მუსაიფით იმედს იძლეოდა, რომ საქართველოს ნიადაგზე დემოკრატიის გაერთიანება მაინც შესაძლებელია"-ო. ყველა ეს კი ერთად შეჰკონა და დაგვიტოვა „კარგი წიგნი", რომელსაც ჩვენ, მისი მოწაფეები მუდამ გულით ვატარებთ.

როგორც პუბლიცისტი, არჩილ ჯორჯაძე ფხიზელ დარაჯად ედგა ჩვენს შინაურ ცხოვრებას და ეძიებდა „ჩვენს საჭირბოროტო კითხვებს". „სოფელი და ქალაქი", ორივე ერთგვარად აინტერესებდა, და ჩვენც გვასწავლიდა იმ „აუცილებელ მოვალეობას, რომელსაც უნდა დაეჩქარებინა „ძველი წესის სულთა ბრძოლა". კი, „ჩვენებური კამათი" ხშირად „უკულმართობის გამართლებას" სცდილობდა, მაგრამ ამგვარ „ახირებულ ძველების" დონკიხოტობა" და ხშირად „ბრაზიანი უძლურება" არამც თუ ვერ უკარგავდა სულის თანაბრობას, პირიქით დინჯი ირონიით თვით ეკითხებოდა „რა მოხდა"-ო. და თუ „დაჟინებული მრავალრიცხვიანობა" შესცვლიდა „მოლოდინსა და საქმეს", არჩილ ჯორჯაძე კითხვით მიმართავდა „როდემდის"-ო, და „დაგვიანებულ იმედით" ოცნებობდა „მოკამათე დასთა საერთო მოქმედების ნიადაგზე".

როგორც მოაზრე, არჩილ ჯორჯაძე ქართველ საზოგადოებას აჩვევდა „განყენებულ საგანს", სწერდა „ისტორიულ მატერიალიზმის გამო", სცდილობდა გამოერკვია „საგანი სიცოცხლისა". მისი ნააზრევი ხელოვნების, ფილოსოფიის და რელიგიის შესახებ, მისი სულის საუკეთესო სარკეა.

ქვეყნის გაგების პრობლემა, აი რის ახსნას ეძიებდა არ. ჯორჯაძე. და აქაც იგი პირველია. ქართული ფილოსოფიური აზრის დიდი ხნის დუმილის შემდეგ, არჩილ ჯორჯაძის აზრი ამეტყველდა, და მით საქართველოში ფილოსოფიურ აზროვნებას მიეცა ახალი დასაბამი.

ჩვენ გვქონდა ძველად ფილოსოფიური კულტურა. სპარსულ, არაბულ და ბერძნულ აზროვნებას ჩვენში საფუძვლიანად ეცნობოდნენ და რგავდნენ მშობლიურ ნიადაგზე. მაგრამ ისტორიულმა კორიანტელმა ტვერი გადააყარა ჩვენს ძველ კულტურას, და დღესაც არ ვიცით, რანი ვყოფილვართ. გნოსეოლოგიურ პესიმიზმით დაიწყო ჩვენმა მოაზრემ „იმა ქვეყანათა ხელშება", და მძიმედ დაათალხა რაციონალიზმის სამფლობელო.

მან პირდაპირ გადაშალა ძიებით მოღლილ ადამიანის შემეცნებითი ტრაგედია, და ინდოელთა ფილოსოფიის მთავარ დებულებაზე ააგო თავისი ნააზრევი.—„არ იცი საიდან მოდის, არ იცი სად მიდის, არ იცი ამ გზის თავი და ბოლო"-ო.

არჩილ ჯორჯაძე „პოეზიის სამფლობელოშიც" გადადიოდა და „ნავთსაყუდელის ძებნაში" „ურწმუნო წერილებს" უხსნიდა, ასწავლიდა თუ რა არის „სიტყვა-კაზმული მწერლობა". და ხან გამოშვებით ეს სევდის ადამიანი ექსტაზამდეც კი მიდიოდა, როდესაც „ქართული ხელოვნების გამოფენაზე" „ხელოვნების გამარჯვებას" ჰხედავდა. ასე მრავალ მხრივია არჩილ ჯორჯაძის აზროვნება. მაგრამ არჩილ ჯორჯაძე მაინც მსხვერპლია, საქართველოს საკურთხეველზე ნებიერად შეწირული. საქართველოს წვრილმან ყოველ დღიურ კითხვათა გადაჭრას მოანდომა თითქმის მთელი თავისი ენერგია და დიდი ნიჭი. ზოგიერთები იტყოდნენ „ნიჭი დაახურდავა"-ო. არა. ლამაზად დამწვარ სიცოცხლეს სოვდაგრული თქმით ნუ შეჰლახავთ, სთქვით, რომ არჩილ ჯორჯაძემ საქართველოს შესწირა ყოველივე, ესხეულა მას, და აქ ჰპოვა თავისი უკვდავება. მასში სცხოვრობდა საქართველო და საქართველო აცოცხლებს მას, მისთვის სევდიანს, მისთვის ტანჯულს.

1842 წ. ჰერცენი თავის „დღიურში" სწერდა:—„გაიგებენ კი, დააფასებენ კი მომავალი თაობანი ჩვენი ტრაგიკული არსებობის მთელ საშინელებას? და ჩვენი წამება კოკორია, რომელზედაც აღმოცენდება მათი ბედნიერება, ეხ, დეე ისინი დაფიქრებულ-სევდიანები შეჩერდნენ იმ ქვების წინ, რომელთ ქვეშაც ჩვენ განვისვენებთ: ჩვენ მათი სევდა დავიმსახურეთ"-ო. ეს სიტყვები ეთქმის არჩილ ჯორჯაძესაც.

და თუ ჩვენი ძვირფასი მასწავლებლის ლანდი ამ სიტყვებით მოგვმართავს, ჩვენ უპასუხებთ, რომ გავიგეთ მისი ტრაგიკული არსებობის მთელი საშინელება, დავაფასეთ მისი წამება და იმ ქვის წინ, რომლის ქვეშაც განისვენებს ჩვენი ცხოვრების დიდი სარდლის ცხედარი. ჩვენ შევჩერდით სევდისთვის კი არა, ფიცისთვის. საქართველოს დღეს სევდა კი არა, ფიცი სჭირია, ფიცი, რომ სოციალ პოლიტიკურ ქარიშხლის დროს შენი დროშის ქვეშ შემოკრებილნი არ დავიფანტეთ, საყვარელო მასწავლებელო!

— „თუ ჩვენს აღფრთოვანებას, რწმენას ფრთები შეაკვეცეს, ეს იმას არ ნიშნავს, რომ გულ ხელ დაკრეფილნი ვისხდეთო", გვახსოვს ეს ანდერძი, და ჩვენი ფრთების შემკვეცთ ჩვენც ვეკითხებით: „როდემდის". ამ ძახილს არ შევსწყვეტთ, ვიდრე არ ამოგვყვებიან იმ მთაზე, რომელზედაც შენ იდექი, ვიდრე არ დაიწყება საქართველოს რენესანსი. ეს დავიფიცეთ ჩვენ, ჩვენო დიდო სარდალო, და საქართველოს ფხიზელო დარაჯო!

ვახტანგ კოტეტიშვილი.

საუბარი ჩაქვასთან

[illegible] პირდაპირი მავთულით დაგვ ლაპარაკა ამხანაგი ზესო ქელბაქიანი. აპარატთან არის ამხ. სამსონ დადიანი.

არა არ ვგლოვობთ!

არჩილ ჯორჯაძის უკვდავ ხსოვნას.

არა, არ ვგლოვობთ... ჩვენს წითელ დროშას
კვნესა-ტირილი არა სშვენია,
მებრძოლთა რაზმებს უიმედობის,
გლოვის ცრემლები არ დასდენია.
არა, არ ვგლოვობთ... მებრძოლთა ლაშქარს
გლოვა-ტირილი არა სჩვევია...
თავისუფლების მოპოებისთვის
მას ბევრი სისხლი დაუნთხევია,
მებრძოლთა რაზმებს გამოჰკლებია
ბევრი მებრძოლი დაუღალავი,
წითელი დროშა ბევრს ჰყვარებია,
ბევრს შეუწირავს იმისთვის თავი,
და თუმც დავკარგეთ მებრძოლთ სარდალი,
მოგვწყდა მებრძოლი უპირველესი,
არ გვიტირია, რადგანც ტირილი,
ჩვენ არ გვჩვევია, არაა წესი.
არა, არ ვგლოვობთ, გლოვის ცრემლებით
არ შევურაცხვყოფთ გმირის საფლავსა,
მხოლოდ ფიცს დავსდებთ მის სამარეზე,
რომ წითელ დროშას შევსწირავთ თავსა.

ი. ვადაჭკორია.

ქელბაქიანი: გადმოგცემთ ბრძოლაში დაჭრილსა და მოკლულ ჩვენი ძმების სიას; დაიჭრნენ მსუბუქად ხარიტონ ხეცოიძე ფეხში, ივანე ტიტიკოს ძე ალუდაშვილი თავში, გიგო ბარიკოს ძე ბადაშვილი ფეხში, გიორგი ქრისტეფორეს ძე მჭედლიშვილი ფეხში, პრაპორშჩიკი ქელბაქიანი ფეხში. მოგვიკლეს ამხანაგი ელიზბარ ზაქარიას ძე ჰინჭველაძე, რომელსაც მოვასვენებთ ტფილისში დღეს ან ხვალ უეჭველად გვაცნობეთ, როგორ მოვიქცეთ.

დადიანი: რის შესახებ როგორ მოიქცეთ?

ქელბაქიანი წამოვასვენოთ თუ არა? თითონ სიკვდილის წინ გვთხოვა ამხანაგებო აქ არ დამტოვოთ, სამშობლოში დამასაფლავეთო.

დადიანი. ჩამოასვენეთ. სულიერი განწყობილება ამხანაგებში როგორია?

ქელბაქიანი: არა უშავს რა, კარგად არის საქმე. მალე გადავრეკავთ აპარელებს და მათთან ერთად ასკერებს.

უკანასკნელი ცნობა

ცხინვალი. გორიდან პირდაპირი მავთულით ამხანაგები გვატყობინებენ 24 მარტს: „გუშინ, 23 მარტს, 12 საათზე ოსებმა მთებიდან დაიწყეს სროლა. ჩვენებმა ზარბაზნებით გასცეს პასუხი; მოგვიკლეს ორი გვარდიელი. ჩვენი რაზმი გადავიდა ლიახვზე და მოუარა მარცხენა ფლანგით. ცხინვალში და აგრეთვე ჩვენი ამხანაგთა სულიერი განწყობილება გამამხნევებელია. ყველა მზად არის შესწიროს თავი ცხინვალის დრამის ლიკვიდაციას. ჩვენს რაზმში ჯერ მსხვერპლი არ არის.—ჩვენს რაზმს შეატყობინეს, რომ ოსებს ახალ-ახალი ძალები მოსდით. ეხლახან დაბრუნდნენ ჰაეროპლანები, რომლებსაც მტრის ბანაკში ყუმბარები ჩაუყრიათ".

იმერეთიდან გვაუწყებენ 24 მარტს, რომ საჩხერეში ოსების შეიარაღებულმა ძალამ იჩინა თავიო.

ცხინვალის ამბავი.

საგანგებოდ გაგზავნილ კორესპონდენტისაგან.

22 მარტს, დილით ტფილისიდან ცხინვალს გავემგზავრე იმ საწუხარო დრამის გამო, რომელიც ცხინვალში დატრიალდა და რომელიც ლამის არის საზარელ ტრაგედიად გადაიქცეს.

ტფილისის ვაგზალზევე არა სასიამოვნო ლაპარაკს მოვკარი ყური. რამდენიმე გლეხმა, გორის მაზრელმა გადმომცა, რომ ქართველი თავადები ოსებს შეუერთდნენ და საერთო ძალ-ღონით გვ[illegible]ო. ამ ხმების უსაფუძვლობა მათ ვერ დაუმტკიცე.

ვაგზალში ბლომად იყო თავმოყრილი ქართლის თავადაზნაურობაც, რათა სოფლებიდან ჩამოსულებისაგან გაეგოთ ახალი ამბები.

დუშეთის მაზრიდან ის ცნობა ჩამოიტანეს, რომ სოფელ ჭალაში დასჭრეს გიგო ამილახვარი და მოჰკლეს მისი სიძე ალექსანდრე (სამ.) აბაზაძე.

ცხინვალიდან სულ სხვადასხვანაირი და გაურკვეველი ცნობა იყო.

ტფილისიდან მატარებელი დაგვიანებით გავიდა და გორს მივედი მხოლოდ ნაშუადღევის პირველ საათზე, ნაცვლად დილის 11 საათისა.

ამ დროს გორში მხოლოდ ის ცნობა იყო, რომ ცხინვალში უკვე შევიდნენ წითელ გვარდიელებიო, რაიც უკვე გაცნობეთ.

საღამოს 6 საათზე ცხინვალიდან სამხედრო ავტომობილებიც ჩამოვიდნენ სხვა და სხვა საჭიროებისათვის. ჩამოსულებისაგან გავიგეთ, რომ ცხინვალში მართლაც შესულან მოწინავე რაზმები სოც. ფ. დ. პარტიის გვარდიელებისა და წითელ გვარდიელებისა, მხოლოდ ცხინვალზე წასული დანარჩენი შეიარაღებული ძალა დარაჯად დასდგომია ცხინვალის არემარეს და სიფრთხილის გამო ცხინვალში არ შედის, რათა აიცდინოს ბედი გიორგი მაჩაბლის მეთაურობით წასულ რაზმისა, რომელიც მოტყუების მსხვერპლი გახდა და გულუბრყვილოდ მიენდო თავაშვებულ ბრბოს „პატიოსან სიტყვას" და თეთრ ხელსახოცებს.

ამავ საღამოს მოვიდა ცნობა, რომ ცხინვალი მთლად წითელ გვარდიელების ხელშია და ეს გვარდია ცხინვალსაც გასცდა და რამდენიმე მხრით შორიდან რკალად შემოერტყა ცხინვალის არემარეს.

დაწვრილებითი და დანამდვილებითი ცნობები გიორგი მაჩაბლის მეთაურობით წასულ რაზმის შესახებ ჯერაც არ მოსულა. არის მხოლოდ ის ცნობა, რომ ბევრი ტყვედ წაყვანილი რაზმელი და მშვიდობიანი მცხოვრები, რიცხვით 135, უკვე განუთავისუფლებიათ ოსებს.

ამავე დღეს განზრახული მქონდა ცხინვალს წასვლა, მაგრამ უძლეველ დაბრკოლების გამო მეორე დღისთვის გადავდე.

23 მარტს ნაშუადღევის პირველ საათამდე ცხინვალიდან არავითარი ცნობა არ მოსულა საქმის მსვლელობის შესახებ, თუმცა ტელეგრაფი ცხინვალსა და გორს შუა მუშაობს.

—

გორის წითელ გვარდიის შტაბი დღეღამე სულ მუშაობაშია, შტაბის განკარგულებით რაზმელები გაგზავნეს ყველა იმ პუნქტში, სადაც მოსალოდნელია ოსების ამოძრავება, მაგალითად მეჯვრისხევსა, ატენისა, გორისა და სხვა რაიონებში.

—

23 მარტს ტყვიავის საზოგადოების სოფელ ქწნისის მცხოვრებთა რწმუნებულება გორის წითელ გვარდიის შტაბს იახლა, სთხოვეს, ოსები გვემუქრებიან, რატომ არ გვიერთდებითო. ამ რწმუნებულთა სიტყვით ოსებზე ახლო მდებარე სოფლებიდან ქართველებიც შეუერთდნენ ოსებს. ზოგი შიშით და ზოგიც ნებით.

—

უკანასკნელ ცნობებით, გიორგი მაჩაბლის მეთაურობით წასულ რაზმიდან დახოცილია ათი გორელი გვარდიელი. უფრო მეტი დახოცილი და დაჭრილი ყოფილა მეჯვრისხევის გვარდიელთაგან. გიორგი მაჩაბელს ცხინვალს გორიდან წაუყვანია სულ 100 რაზმელი, რომლებსაც ცხინვალის მახლობლად მდებარე სოფლებიდანაც შეერთებია 150 რაზმელი.

—

ამ ჟამად ცხინვალის რაიონში მხურვალე მონაწილეობას იღებს მოქმედებაში საქართველოს სოციალისტ ფედ. სარ. პარტიის რაზმი რიცხვით 250 კაცი, რომელსაც შეადგენენ გორის და სხვა მახლობელ სოფლების წითელ გვარდიელები. 23 მარტს ტფილისიდან კიდევ მოელიან სოციალისტ-ფედერალისტთა რაზმს, რიცხვით 150 კაცს.

—

ამ რამდენიმე დღის წინად გომში დაიჭირეს სამი ოსი, რომლებსაც მოწოდებები აღმოაჩნდათ. იქ ნათქვამი იყო, ოსებო, დაგვეხმარეთ, ქართველები და იმერლები გვაწიოკებენო. გორის წითელ გვარდიის შტაბმა განკარგულება მოახდინა, რათა შეპყრობილნი გორში ჩაეყვანათ დარაჯთა გაძლიერებულ რაზმის საშუალებით. გომიდან პასუხი მოვიდა, რომ განკარგულება სისრულეში დაუყოვნებლივ იქნება იქნება მოყვანილიო, მაგრამ 23 მარტს შტაბმა ცნობა მიიღო, რომ შეპყრობილნი ვიღაც არამკითხეს განკარგულებით განუთავისუფლებიათ.

—

გორის წითელ გვარდიის შტაბის ცნობით სადგურ წიფაში შეუპყრიათ ასი ოსი, რომელთაც ქართლისაკენ მოჰქონდათ 21 ვაგონი სურსათ-სანოვაგე.

—

ოსების პოლკს, რომელიც გორში სდგას, 22 მარტს გორში მოუვიდა ექვსი ვაგონი დინამიტი, ყუმბარა და სხვა საომარი მასალა. გორის შტაბმა ყველა ამ მასალის რეკვიზიცია მოახდინა და ამავ დღეს სულ ჩაიბარა.

—

შტაბის მიერ 23 მარტს მიღებულ ცნობით [illegible] საერთოდ. სოფლელნი ამბობენ, მართალია ეხლა შესძლებთ ოსების მოგერიებას, მაგრამ ოსები ჩვენ გადაგვემტერებიან და შემდეგში შურს იძიებენო.

—

დღეს, 23 მარტს, კიდევ აკრძალულია კერძო მგზავრების წასვლა ცხინვალისაკენ.

რ. ზ—ლი.

—

გუშინ 23 მარტს ცხინვალიდან ამიერკავკასიის მთავრობას შემდეგი დეპეშა მოუვიდა ვალ. ჯუღელისაგან.

22 მარტს ჩვენმა წითელმა გვარდიამ ცხინვალი და მისი ახლო-მახლო ადგილები ხელში ჩაიგდო. მოწინააღმდეგემ ბრძოლა არ მიიღო და ჩვენ მისვლამდე მთებში გაიქცა.

მთელი მათი ძალა გროვდება ჯავის ხეობაში. მთელი დღე სამი სოფლის დაპყრობას და გაწმენდას მოვანდომეთ.

ჩვენი ჯარები ახალგაზრდა არტილერისტების დახმარებით მედგრად წინ მიიწევდა. ჩვენ მსუბუქად დაგვიჭრეს ერთი. მოწინააღმდეგის ზარალი არ ვიცით.

ჩვენმა არტილერიამ სოფლები დაზოგა და სოფლიდან გამოსულ მოწინააღმდეგეს ყუმბარები დაუშინა. დღეს დილიდანვე ჩვენი გვარდია მაღალ მთებს შეუდგა ბრძოლით ჩრდილო აღმოსავლეთისაკენ.

ფედერალისტთა რაზმი და დასახმარებლად ტფილისიდან ჩამოსული წითელი რაზმელები გავიდა მდ. ლიახვაში და დასავლეთიდან ცხინვალს ალყა შემოარტყა. ცხინვალი საწუხარო სურათს წარმოადგენს ყველაფერი განადგურებულია, ქუჩებში ჩვენი ამხანაგების დანთხეული სისხლია დამჩნარი.

მცხოვრებნი აღტაცებით შეგვხვდნენ.

ჯერ-ჯერობით განთავისუფლებულია 150 ტყვე. ჯავის რაიონის ტყვეები ჯერ ვერ განვათავისუფლეთ. [illegible]

[illegible]

ახალი ამბები

◆ გორიდან 24 მარტს დილის 10 საათზე ტფილისის [illegible] მიიღო შემდეგი დეპეშა: 23 მარტს საღამოს 6 საათზე ცხინვალთან ახლო სოფ. თამარაშენში ჩვენ მოგვიკლეს 5 ამხანაგი, 3 დაჭრილია. ყაჩაღთა ბრბოები [illegible] მთებისკენ, მათ დაედევნენ პოლკ. კონიევი და ჯუღელი. იმათ დიდი ზიანი მიაყენეს, მოკლულიც იქნება და დაჭრილიც. ჩვენი ტყვეების ნაწილი განთავისუფლდა, ნაწილი კი თან მიჰყვეთ ყაჩაღებს. 6 საათს მოასვენეს მოკლულები: მაჩაბელი, კეცხოველი და სხვა წითელი რაზმელები. ცხედარი ზოგის დამახინჯებულია იმ ზომამდე, რომ ცნობაც შეუძლებელია. დასაფლავება დანიშნულია ხუთშაბათს, 8 საათზე მე დავათვალიერე სატუსაღო. დღეს 9 ს. 30 წ. გაფრინდა ჰაეროპლანი. ვლასა მგელაძე".

◆ მუსულმანთა და სომეხთა სხდომა. 23 მარტს სასახლის თეთრ დარბაზში მოხდა სომეხთა და მუსულმანთა ს. რ. და ს. დ. პარტიების წარმომადგენლების სხდომა, რომელზედაც განიხილეს საკითხი: რა ზომები უნდა მიიღონ ეროვნულ ნიადაგზე მომხდარ შეტაკების საწინააღმდეგოდ. იქმნა არჩეული სომეხთა და მუსულმანთა ბიურო; მის შემადგენლობაში შედის ყველა სომეხი და მუსულმანი (ს.-რ. და ს.-დ. პარტიების, სეიმის წევრები). ბიუროს სხდომა მოკლე ხანში დანიშნულია კრება სომეხთა და მუსულმანთა ს.-რ. და ს.-დ. პარტიების, რომელსაც უნდა გაეგზავნოს თავისი [illegible]. ამ ბიუროს დასახმარებლად არჩეულია საფინანსო კომისია. ბიურო მჭიდრო კავშირს დაიჭერს ყველა ადგილობრივ ორგანიზაციასთან, პროვინციაში კი დაარსდება ამგვარი ბიუროები იმ ორგანიზაციების საფუძველზე, როგორზედაც დაარსდა ტფილისის ბიურო.

◆ რედაქციიდან. არჩილ ჯორჯაძის ხსოვნისათვის საგანგებოდ დაწერილი ყველა წერილი დღევანდელ ნომერში ვერ მოთავსდა. დაიბეჭდება შემდეგ ნომრებში.

მუშათა წერილები

არჩილ ჯორჯაძე.

არჩილ ჯორჯაძე. ეს არის სიტყვა ბევრის მთქმელი და ტკბილი ყოველ დემოკრატ ქართველისათვის. არა

არჩილ ჯორჯაძე

როგორც სიცოცხლის აზრის მაძიებელი

ა. ჯორჯაძის პიროვნება, მისი მოღვაწეობა და მოქმედება იმდენად რთული და მრავალ მხრივია, რომ ყოვლად შეუძლებელია განმარტოთ და გაარჩიოთ ასეთ მოკლე წერილში.

არ შევეხები ამ დიდებულ ქართველის პოლიტიკურ მოღვაწეობას არც იმას თუ რა როლი ითამაშა არჩილმა ეროვნულ საკითხის გამორკვევა-გამოსახვაში და გადმოგცემთ მხოლოდ ერთ შესანიშნავსა და თვალსაჩინო მხარეს ჩვენი დიდი მწერლის არსებისას.

ცხოვრებისა და სიცოცხლის აზრის კვლევა-ძიება იმდენადვე ძველი საკითხია, როგორც თვით ადამიანის არსებობა ამ ქვეყნად.

ყოველი საუკუნე, ყოველი ხანა—უძველესიც კი ამ საიდუმლოების გარშემო ტრიალებდა, უნდოდა გადაელახა საიდუმლოებითა და გაუგებრობით მოცული ცხოვრების საზღვარი, წყუროდა სიცოცხლის აზრის, მნიშვნელობის, საიდუმლოების გაგება.

ფილოსოფოსნი, ღვთის მეტყველნი და წინასწარმეტყველნი თავს იმტვრევდნენ ამ საკითხის გამოსარკვევათ, ვერ გაეგოთ—თუ რა მნიშვნელობა, რა აზრი აქვს ადამიანის არსებობას დედამიწაზე, საიდან წარმოსდგა სიცოცხლე და რა არის სიკვდილი, სად არის დასაწყისი და დასასრული სიცოცხლისა,—გრძნობა მარადისობისა და ამაოებისა ყოველთვის თან დასდევდა ადამიანის დანაღვლიანებულ გულსა და სულს.

მრავალ საუკუნეთა წინ ქრისტეს დაბადებამდე—ინდოელებმა იჩინეს თავი, როგორც სიცოცხლის აზრის მაძიებელმა: ვერ შეურიგდნენ აზრს, რომ ადამიანის სიცოცხლე წარმავალია.

რა არის ბრამანთა და ბუდას ფილოსოფია—კონფუცისა და ლაოძის მოძღვრება, ელლინთა ფილოსოფია, მეთვრამეტე და, თუ გნებავთ, მეოცე საუკუნის ფილოსოფოსთა უძლური ჩივილი, თუ არა სურვილი ცხოვრების, სიკვდილ-სიცოცხლის აზრის, მნიშვნელობის, შინაარსის გაგებისა?

და ეს უძლური ჩივილი, დღესაც სულსა და გულს უხშავს ადამიანის არსებას, დღესაც გაუგებარი, მიუწდომელი, აუხსნელი არის ჩვენთვის ადამიანის ცოდვილ მიწაზე ხოხვა, მისი არსებობის მნიშვნელობა.

საუკუნემ განვლო მას შემდეგ, რაც კანტმა აღნიშნა, რომ არის მცნება, მოვლენა, რომელიც ექვემდებარება ჩვენს შეგნებას, შემეცნებას. მაგრამ ამასთანავე შეუძლებელია იმის ცნობა და შეთვისება, რაც ჩვენს შეგნებას, შემეცნებას აღემატება, ტრანსცედენტალურ მხარეს ეკუთვნის.

„არის მხარე, რომელიც ექვემდებარება ჩვენს შემეცნებას და არის მხარე, სადაც ჩვენი შემეცნება უძლურია"-ო ამბობს კანტი. და ამ აზრის უკუგდება, ემპირიულ საზღვრების გადალახვა შეუძლია მხოლოდ იმას, ვინც, უმეტეს შემთხვევაში, გრძნობას ექვემდებარება, არა გონებას და მეცნიერულ გამოკვლევას.

დიდებულ ტოლსტოიმ დაჰკარგა სიკვდილის შიში და, დოსტოევსკის სიტყვებით, ღმერთად იქცა. დიდხანს ეძია სიცოცხლის აზრი, შინაარსი,—მეცნიერებასაც კი მიმართა, რომ დაეძლია დაუძლეველი და, რომ ვერ შეძლო გაუგებარის-გაგება, სინამდვილის საზღვრების გადალახვა მეცნიერების საშუალებით—რწმენას ჩაჰკიდა ხელი, მხოლოდ ღრმა და გულწრფელ რწმენას დაამყარა თვისი სულის განცდანი.

განა ჩვენი დიდებული მგოსანი, ბარათაშვილი იმავე ცხოვრების ამაოებამ, კვლევამა და ძიებამ, სიცოცხლის ტრაგედიამ არ მიიყვანა უკიდურეს სასოწარკვეთილებამდი? განა განუსაზღვრელ სულის ლტოლვამ და მისწრაფებამ, ყოველისფრის გაგებამ არ გამოიწვია დიდებული მგოსნის არსებაში განწირული სულის კვეთება?

განა უკვდავნი და დიდებულნი გიოტე, ბაირონი, ლერმონტოვი და სხვა მრავალი მსოფლიო მწერალი არ ეძებდნენ სიცოცხლის დასაბამს, შინაარსს, აზრს და ამ ძებნაში არ დალიეს სული?

და ამ დიადმა და მსოფლიო საკითხმა დროებით ჩვენი არჩილიც გაიტაცა, მან, როგორც დიდბუნებოვან ადამიანმა ვერ აუხვია ამ ყოველთვის ახალ საკითხს გვერდი, და მისი არსებაც გაჰიმსჭვალა დროებით პესიმიზმით მწუხარებითა და სევდით, მაგრამ პესიმიზმით არა სოციალურ ხასიათის, რომელსაც, მისივე სიტყვებით,—„არა აქვს ტრაგიკული იერი, რადგან სოციალურ მოუწყობლობას არა აქვს აბსოლუტურ აუცილებლობის ხასიათი, რადგან მწუხარება, უსამართლობით გამოწვეული, ხანმოკლეა და ტანჯვა, ძალმომრეობით გამოწვეული წარმავალია—უსამართლობა და ძალმომრეობა უძლეველი მტერნი არ არიან"....

მისი არსება,—სულ სხვა სევდამ, ღრმა პესიმიზმა გაიტაცა,—პესიმიზმა ფილოსოფიურმა, რომლის მიხედვით, აქ დედამიწაზე ყოველივე ტრაგიკულია, აბსოლუტური და მუდმივი, „იყავით მატერიალისტი, იყავით ემპირისტი,—სწერს არჩილი—მაგრამ უნდა აღიაროთ, რომ სიკვდილი თქვენთვის გაუგებარი მოვლენაა, უნდა გამოტყდეთ, რომ სიკვდილი თქვენთვის მეტაფიზიკური საგანია, რადგან მას ვერავითარ საზომით ვერ მიუდგებით და ვერავითარის საშუალებით ვერ გამოიცნობთ"...

ამ სიტყვებიდან ნათლად სჩანს—თუ რა საშინელი სევდითა და მწუხარებით არის გამსჭვალული მწერლის არსება, თუ როგორ აწუხებს მას ეს საშინელი და საიდუმლოებით მოცული—სიკვდილ სიცოცხლის საკითხი, როგორ გრძნობს თვის უძლურებას ამ საკითხის გადაწყვეტაში; — მაგრამ მაინც არ ცხრება,—რადგან წყურვილი ძებნის და გაგებისა, გრძნობა მარადისობისა და ამაოებისა სულს უხუთავს და მოწადინებულია ნათელი მოჰფინოს ამ გაუგებარს საკითხს.

....„სიცოცხლის აზრი—სწერს—იგი—ეს არის ჩვენი პირადი მწუხარებით აღსავსე ბედი, ჩვენი სიცოცხლე, რომელსაც მუდამ სდევს ათასგვარი განსაცდელი, ავათმყოფობა, სიბერე, სიკვდილი. ეს არის სიყვარული—ეს უცნაური წყარო სიხარულისა და სევდისა, წყარო შვებისა და ამავე დროს მწუხარებისა. ეს არის წყურვილი ბოროტების დათრგუნვისა, წყურვილი სიკვდილის დაძლევისა, წყურვილი სამარადისო სიცოცხლისა, ერთი სიტყვით, ეს არის ესთეტიური, რელიგიური და ფილოსოფიური მოთხოვნილებანი ადამიანისა"....

კოტე აბაშიძე

(დასასრული იქნება)

ჟორჯაძის გახსენება გახსენებაა მთელი საქართველოს მეცხრამეტე საუკუნის, ჩვენი პოლიტიკურ ეკონომიურ და ეროვნულ პოლიტიკურ ალღოს შეცვლისა.

ა. ჟორჯაძე ერთი დიდა ძარღვთაგანი იყო ქართული ისტორიისა და ეროვნული, პოლიტიკური აზროვნებისა. მისმა მოვლენამ დიდი ცვლილება შეიტანა ჩვენს სოციალურ მიდრეკილებაში.

როგორი იყო ჩვენი აზროვნება არჩილამდის? ამისთვის მოვიგონოთ ისტორია. საქართველო რუსეთთან შეერთების შემდეგ თანდათან ჰკარგავდა თავის საკუთარ სახეს. თანდათანობით უზარმაზარ რუსეთის სივრცეში გადაშლო გასათქვეფად.

არჩილი მაშინ გამოჩნდა მხსნელ მესიად როცა საქართველოს თავისი უკანასკნელი სიტყვა უნდა ეთქვა. როგორი იქნებოდა ეს სიტყვა?

საქართველომ მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში და მეოცე საუკუნის დასაწყისს ისეთი დიდად მნიშვნელოვანი ხანა გაიარა რაც არ უნახავს რამდენიმე საუკუნის განმავლობაში. საქართველო ძველი ფეოდალურ უღელში აღზრდილი, დაქსაქსული, დაუძლურებული იყო თვით ფეოდალთა ერთი მეორეს ქიშპობის მეოხებით და ყოველივე საკუთარი ინიციატივის უნარი ჰქონდა დაკარგული, რასაც დიდად ხელს უწყობდა რუსეთის ბიუროკრატია. თვით შეგნება უნდოდათ ჩაეკლათ და სცდილობდენ ჩვენს ეროვნულ ფიზიკურ არსებობის მოსპობასაც. ეს იყო ერთი ხანა, რომელსაც გრძნობდნენ ჩვენი ერის საუკეთესო შვილები ილია ჭავჭავაძის მესვეურობით და იბრძოდნენ კიდეც.

მაგრამ მებრძოლთა რიცხვი იმდენად მცირე იყო, მათი საქმიანობის ფარგლები ისეთი ვიწრო და ზომიერი, რომ ხალხის ფართო მასის ორგანიზაციულად ჩამოყალიბებაზე ფიქრი მათი აზრით ოცნებას შეადგენდა, ისინი საქართველოს კულტურულ მუშაობას ძლივს უძღვებოდნენ და ეკონომიური და პოლიტიკური გეგმა სრულებით არ შეუმუშავებიათ. მათ საძირკველი ჩაუყარეს ყოველივეს რასაც დრო და გარემოება ხელს უწყობდა, კულტურულ ეკონომიურ შემოქმედება დაიწყეს, დააარსეს ქ. შ. წ. კ. ს. თეატრი, ბანკი, სასწავლებელი და სხვა და სხვა.

დადგა მესამე ხანა. მესამე ხანა მეორის ბუნებრივი გაგრძელება იყო. მესამე ხანას უნდა შეევსო ის ნაკლი რაც მეორემ ვერ მოახერხა. ეს იყო ჩვენი ხალხის პოლიტიკური გაწვრთნა და ეს ხანა ჟორდანიას ხანა იყო. ჟორდანია იყო ინსტრუქტორი ჩვენი ხალხის პოლიტიკურ სარბიელზე დარაზმულ გამოსვლისათვის, იმ დროის დაიწყო ჩვენი ხალხის ინსტრუქტორობა ჟორდანიამ როცა მას ამ ასპარეზზე არავინ ჰყავდა კონკურენტი.

პირადათ ჟორდანიას პატივისმცემელი გახლავარ მაგრამ უნდა მოგახსენოთ, რომ თუმც ჩვენი ერის პოლიტიკურად აღზრდის და განვითარების საქმე ჟორდანიამ იკისრა და საჭიროება მოითხოვდა ქართველებს გვყოლოდა აღზრდილი და გამწვრთნელი, სალი ეროვნული პედაგოგი, ეს ნ. ჟორდანიას მოვალეობას შეადგენდა, მაგრამ უნდა მოგახსენოთ, ნ. ჟორდანიამ ეს ვერ შესძლო, ამის უნარი ვერ გამოიჩინა.

ჟორდანიამ სახელმძღვანელოდ უცხო სახელმწიფოს მომქმედ პარტიის გეგმა გადმოიტანა ჩვენი ნაკლისთვის, მან ვერ გაავეიქართულა, მან ჩვენს ეკონომიურს და ეროვნულ საჭიროების ნაკლს ანგარიში არ გაუწია, მან ვერ მოახერხა ჩაებერა ჩვენი ტანჯული ეროვნული სულის მტკიცე და მხურვალე სულის თქმა, მან ეკონომიურადაც ვერ გაითვალისწინა ჩვენი მხარე და ეს უცხოეთიდან გადმოტანილი გეგმა დარჩა ჩვენში იმ ყრუ-გულო ჩვენთვის შეუფერებელ პედაგოგი[illegible] მსგავსად, რომელსაც რუსეთის იმპერიალისტები ჩვენში ხმარობდნენ [illegible] ჩვენი თაობა მარტო ჩინოვნიკობად იწვრთნებოდა და არა პოლიტიკურ [illegible] ებად. რა ჰქონდა ნაკლი? ჟორდანიას პედაგოგიკა იყო ჩვენთვის უცხო, [illegible] ში სრულიად არ იყო და არ ეწერა [illegible] ველი და საქართველო, რადგან [illegible] არ იყო გაჩვენებულებული და აკ[illegible] მასზე აღზრდილი ახალგაზრდობა უფრო ბევრს მოგახსენებს პარიზის და [illegible] ქუჩის ისტორიას, ვიდრე [illegible]

ეს მესამე ხანა უსაშინელესი ხანა იყო საქართველოს ისტორიაში. ერთი მხრით იყო რუსეთის იმპერიალისტებისაგან გაერთიანებული მთლიანი საქართველო, რომელსაც რუსეთის ცენტრისკენ ჰქონდა პირი ხელოვნურად მიბრუნებული, და დღითი დღე ამსხვრევდა თვითმპყრობელ სახელმწიფოს აპარატი ჩვენი ტერიტორიის მთლიანობას და აპრელებდა ეროვნულად, რათა დაეკარგა ჩვენთვის ფიზიკური—ტერიტორიალური მთლიანობა.

მეორე მხრით აღრმავებდა ამ ჩვენ დამღუპველ უფსკრულს ის პოლიტიკა, რომელიც უკუღმართად გაწვრთნილი ხალხს უხშობდა ეროვნულ თავმოყვარეობას. ეროვნული თავდაცვის გრძნობას. ეს პოლიტიკა იქითკენ იყო მიმართული, რომ გაყინულიყო ეროვნული თვით შემეცნების სურვილი, მოდუნებულიყო ეროვნული აქტივობა, გრძნობა სამშობლოს სიყვარულისა და მისთვის თავგანწირვა, გამეფებულიყო მასში დიდი კოსმოპოლიტური ფანტაზია ილიუზია, დამთვრალიყო ამ უმაგალითო დოგმით და უგრძნობლად გაენადგურებინა ეროვნული „მე“ და ეს იყო ნ. ჟორდანიას ინსტრუქტორობით აღზრდილი მშრომელი საქართველო. მის ოცნებას შეადგენდა არა პატარა საქართველო არამედ დიდი უზარმაზარი ჯერ რუსეთი და შემდეგ მთელი ქვეყანა.

არჩილი სწორედ იმ დროს მოევლინა მხსნელად საქართველოს მშრომელ ხალხს, როდესაც მშრომელი საქართველო ამ ზემო აღნიშნულ პირობით და ნაკლიანი პოლიტიკის წყალობით უკვე ცენტრალიზმის უფსკრულისკენ იყო გადაშვებული დასაღუპავად. მაშინ შემოიჭრა არჩილის კალამი ჩვენში, როცა მშრომელი საქართველო თავის ეროვნულ „მეს“ შეგნებულად უარყოფდა და ამბობდა: „ეროვნება და სოციალიზმი ერთ ტაფაში ვერ მოიხარშება მშრომელს სამშობლო არ აქვს, ჩემი სამშობლო არის სადაც მე კუჭს გავიძღებო; მას წარმოდგენა არ ჰქონდა, თუ რას უქადდა ქართველ მუშის ბედი, თუ იგი ეროვნულ სახეს დაკარგავდა, თუ მას სამშობლო და ტერიტორია არ ექნებოდა.

მწარე იყო და მძიმე არჩილის პირველი გამოსვლის პერიოდი სამოღვაწეო ასპარეზზე. ნოეს მაშინ მთელი თაობა ჰყავდა აღზრდილი თავის პედაგოგიკაზე, უკვე ორგანიზაციულად ჩამოყალიბებული და ანტი-ეროვნულ სულით გაჟღენთილი არმია. არჩილს კი ძლივს უმშვენებდა ცალი ხელის თითებზე ჩამოსათვლელი რიცხვი ინტელიგენტ-ამხანაგებისა.

ცა და დედამიწა სოციალ-დემოკრატობდა, დიდი რიცხვი დიდი, ცილის წამება გადაიტანეს მაშინდელმა სოციალისტ-ფედერალისტებმა მოწინააღმდეგე შეუგნებელ ბრბოსგან და დემაგოგ მოწინააღმდეგეთან, მაგრამ დიდმა ნიჭმა, ხალხის სიყვარულმა და მისთვის თავის განწირვამ თავისი გაიტანა ყოველივე დაითრგუნა, სიმართლემ გასავალი ჰპოვა. ეს ასეც უნდა მომხდარიყო.

თუმც დიდი მოწინააღმდეგე იყო ჟორდანიასი, მაგრამ „შეთანხმების იმედი“ მაინც დასწერა. მას სწამდა, რომ მოწინააღმდეგე შემცდარი იყო და იგიც ჭკუას ისწავლიდა, და მართლაც ჩვენ ვხედავთ თვით ჟორდანიამ აიღო სახელმძღვანელოდ „შეთანხმების“ პოლიტიკა და გზა ჯვარედინზე იმას გაჰყვის. ეს ნოეს დამცირებად არ მიმაჩნია. დიდ პატივსა ვსცემ უფრო ეხლა, ნოეს უსურვებ, რომ ძველი ცოდვა გამოისყიდოს საქართველოს საკეთილდღეოდ. თუ ამ ახალ გზისთვის იგი სათანადოდ მომზადებული ვერ აღმოჩნდება, რადგან კაცი სატაცურივით ორჯელ არ ამოდის, ჩვენ ცოცხლები გვყავს არჩილის ამხანაგები და ახლად აღზრდილი იდეური მოღვაწენი; და ამათზე ხომ რომელთაც, თვითონ ნოემ სთქვა „სოციალისტ-ფედერალისტებს“ ბევრის გაკეთება შეუძლიათო. დიახ ჩვენი ამხანაგები მუდამ მზად არიან, როცა საქართველოს ბედი წყდება მაშინ დივანი და რბილი კაბინეტი კი არ ეძებონ, არამედ გამოვიდნენ აქტიურად და საქართველოს საკეთილდღეოდ შემოქმედ მუშაობაში თავისი წვლილი შეიტანონ იმ შენობის აგებაში, რომლის გეგმის შემუშავება და გეგმოვნება სტილისა ჩვენ გვეკუთვნის.

არჩილი ჩვენში ეროვნული და სოციალისტური დროშის შემასხმორცმელთაგანი იყო, არჩილის იდეურ ამხანაგებს უფრო მეტი საშვალება აქვთ მეტის სიძლიერით განაგრძონ დიადი შრომა, რომელსაც სოც.-ფედ. მოძღვრება ედება საძირკვლად. არჩილი კი მუდამ დარჩება მშრომელ თავისუფალი საქართველოს ერთ დიად მამამთავრად, რომლის გახსენებაზეც თავს დახრის ყველა შეგნებული მშრომელი.

გ. ხუდთანიშვილი.

მუშათა მოძღვარი

დღეს შესრულდება ხუთი წელი, რაც აღარა გვყავს საქართველოს სვე-ბედის გამომხატველი, მოძღვარი არჩილ ჯორჯაძე. მან პირველმა შექმნა საქართველოს სოც.-ფედერალისტთა მუშათა პარტია. მან პირველმა აფრიალა წითელი დროშა, და წააწერა ზედ საქ. მშრომელი ხალხის განთავისუფლება. რაც გვიწინასწარმეტყველა თხუთმეტი ოცი წლის წინად, დღეს თვალწინ გვიდგას ყოველივე. მართალია, ბევრმა თავი ძალად დაიბრმავა და არ სურს დაინახოს ის, რაც თვალწინ არ შორდება.

დიდებულო მოძღვარო! თქვენგან დაარსებული საქ. სოც. ფედ. სარევოლიუციო პარტია ისე იზრდება, ვით მაისის მოზარდი მწვანე მობიბინე ჯეჯილი. და ის გადაშლის მის მრავალ რიცხოვან შტოთა ფოთლებს, აღიმაღლებს თავს და დაჩრდილავს მას, ხელს უშლის მის ზრდას და წინ სვლას... ის, რაც ხელს უშლის ხალხის სასარგებლო ჯეჯილის ზრდას, იმ უსარგებლო ბალახს, თვით გლეხი მოსპობს თავისი გალესილი თოხით. და საშუალებას მისცემს სრულ სიმწიფემდის მიიყვანოს...

დიდებულო მოძღვარო! ყველა არჩეულ გზაში თქვენგან არჩეული გზა უფრო სწორი და სამართლიანი გამოდგა ქართველი ერისათვის. სხვა გზა რევოლიუციამ, ცხოვრებამ არ მიიღო; ის ხიდი, რომელზედაც სხვები ფიქრობდნენ გასვლას საყსებით, ჩაინგრა, ჩაიფუშა და იძულებული გახდნენ თქვენ მიერ ნაჩვენები გზით განაგრძონ სიარული, მაგრამ ჯერ ხელ ნათქვამი სიტყვა არ სურთ დაიბრუნონ უკან და თვალის ახვევა სურთ მთელი მშრომელი ხალხისათვის. მაგრამ დადგება დრო, როცა ხალხი [illegible] აფრიალებულ დროშას, და მთელი მშრომელი ხალხი მის ქვეშ დაირაზმება.

მუშა ეგნატე კვალიშვილი.

თერგის ოლქის მთავრობა და სურსათის საკითხი

დიდი ხანი არ არის, რაც თერგის ახალი მთავრობა შესდგა და ჩვენთვის, კერძოდ ქართველებისთვის, სასურველია ვიცოდეთ თუ როგორ პოლიტიკას დაიკავებენ მთავრობის წევრების სურსათის საკითხის გადასაჭრელად.

მთელი ამიერკავკასიის ყურადღება სურსათის შესახებ ჩრდილო კავკასიისაკენაა მიმართული და განსაკუთრებით კი თერგის ოლქისაკენ. იქ უკვე სწარმოებს მუშაობა და, თუ რაიმე განსაკუთრებულმა პირობებმა ხელი არ შეუშალა ამ მუშაობას, შესაძლოა თავი დავაღწიოთ ამ საშინელ სიმშილს, რომელიც მოგველის.

მთავრობის შემადგენლობა კოალიციონურია მხოლოდ „ბოლშევიკურ“-„მენშევიკური“ ხოლო ისიც უნდა ვსთქვათ, რომ ბოლშევიკები მენშევიკობენ და უკანასკნელნი კი პირველებს მემარცხენობაში ეჯიბრებიან ეს, რასაკვირველია, ადგილობრივ პირობების ბრალია, რადგან მასა არც ერთ მიმართულებას არა ყავს თუ არ მივიღებთ მხედველობაში მალაკნების ორ „სლაბოდკას“.

ჩრდილო კავკასიას დიდი იმედით მარტო ჩვენ არ შევყურებთ, იქ დამშეულ რაიონების წარმომადგენლებმა მოიყარა თავი მრავლად, ყველას უნდა, რაც შეიძლება მალე იქიდან გაიტანოს პურეული. მრავალი მოდის იქ საქონლით და ფულით.

ჩვენკი სამწუხაროდ არც ერთი გვაქვს, არც მეორე.

განწყობილება ახლად შემდგარ მთავრობისა ჩვენდამი კარგია და ყოველნაირ და ყოველნაირ დახმარებასაც გვპირდება, მხოლოდ აღარ ვიცით როდემდე გაგრძელდება ასეთი მდგომარეობა. ჩვენის ღრმა რწმენით, როგორც კი მოღონიერდება მთავრობა, „მენშევიკების“ გავლენა დაიკარგება და უნდა ველოდეთ ყოველნაირ „ულტიმატუმებს“.

ჩვენ დაგვრჩენია ერთი რამ; რაც შეიძლება ხელი შევუწყოთ სწრაფად პურეულის დამზადებას და გადმოზიდვას; ერთი დღის დაგვიანება დიდი დანაშაული იქნება ხალხის წინაშე.

ხელი უნდა შევუწყოთ ყოველნაირი დახმარებით იმ დაწყებულ მუშაობას, რომელიც თერგის, ოლქში სწარმოებს სურსათის შესაძენად.

ახლად ჩამოსული.

გამომცემელი
[illegible]
[illegible] მთავარი კომიტეტისა

ქუდების მაღაზია
ხუციევისა

გადავიდა იმავე ქუჩაზე, ეზოში, ბანოვის ქ. № 9. ყოველგვარი შეკეთა. 348

ქართული კლუბი

კვირას 25 მარტს 1918 წ.

ქართული დრამატიული დასის მიერ წარმოდგენილი იქნება

ცნობილი ტრაგედია ფრ. შილლერისა

ყაჩაღები

ტრ. 5 მოქმ.

მონაწილეობს მთელი დასი. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

ბილეთები იყიდება თეატრის კასაში. 1071

განცხადება

ქართულ კლუბის მამასახლისთა საბჭო

ამით აუწყებს კლუბის წევრთ, რომ 25 მარტს, შუადღის 12 საათზე დანიშნულია

წევრთა წლიური კრება.

წესდების § 29 მუხლის თანახმად ეს კრება კანონიერად ჩაითვლება, რამდენი წევრიც უნდა დაესწროს.

განსახილველია:

1917 წლის ანგარიში, 1918 წლის ხარჯთ-აღრიცხვა, ზოგიერთი მუხლის შეცვლა, მიმდინარე საქმეები. უნდა მოხდეს აგრეთვე არჩევნები: მამასახლისებისა, მათი კანდიდატებისა, სარევიზიო კომისიის წევრებისა, წევრებისა მუდმივ მოსიარულეთა პირებისა.

დიდი ცირკი
ძმ. ეფიმოვებისა



მიხეილის პრ., მუშტ. ბაღთა, საკუთ. ახლად შეკეთ. კაპიტალურად ხაზმთრო შენობა, ტელეფ. 19—00.

დღეს 25 მარტს. მოხდება

სადღესასწაულო წარმოდგენა

მონაწილეობენ ახალი მსახიობები: იაპონელთა დასი, კომიკოსები ძმ. ვინჩენკო, მუერინგი „ადამიან-ბუზები“ დე-ლა-კ ზო. პირველად ღებულობს ახალი სანახაობა „იოციზუკა“ ან სიკვდილის ჯვარი, საიდუმლო ყუთი და სხვა გასტროლი პეტრე ალიზაროვის, პირველი გასტროლი გლადიატორ დუბასოვის და სხ.

დასაწყისი დღით 1 ს. საღ. 8 ს. დასასრული 11 ს. 353

საჯარო ვაჭრობა

ტფილისის ქალაქის გამგეობა აცხადებს, რომ [illegible] 1918 წ. ნაშუადღევის პირველ საათზე, ქალაქის გამგეობის თანდასწრებით გაიმართება

საჯარო ვაჭრობა

იჯარით არის გასაცემი საძოვარი, სახნავი და სათიბი ადგილები კუკიის აგარაკისა.

კონდიციის და ყოველგვარი ცნობის მიღება შეიძლება ქალ. გამგეობის საადგილ-მამულო განყოფილების კანცელიარიაში. 1128

პურის ბარათები

ორშაბათიდან, 26 მარტიდან ყველა უბნის საბარათო ბიუროში გაიცემა

პურის ბარათები აპრილისათვის.

პურის ბარათები მიეცემა სასურსათო ბარათის (შაქრის) წარდგენის შემდეგ.

პურის ბარათების დარიგების დროს ახალი სერიის სასურსათო ბარათების (აპრილის, მაისის, ივნისის) მიცემა დროებით წყდება.

სახლის კომიტეტებმა კეთილ ინებონ და თავის დროზე მიიღონ სახლის ორგანიზაციის წევრებისათვის პურის ბარათები.

მე-6, მე-7 და მე-8 უბნის
სახლის კომიტეტების
კრება

კვირას 25 მარტს, დილის 11 ს. ველაბრის კლუბში (კახეთის ქ. № 5) დანიშნულია მე-6, მე-7 და მე 8 სამილიციო უბნის სახლის კომიტეტების წარმომადგენელთა კრება პურის ფასის მომატების შესახებ.

სურსათის მდგომარეობის შესახებ მოხსენებას წაიკითხავს ქალ. გამგეობის წევრი დ. პოპოვი. ქალ. გამგ. სასურსათო განყოფილება. 1121

სოციალისტ-რევოლიუციონერთა პარტია

კვირას 25 მარტს ტფილისის „კრუჟოკის“ ბინაზე დანიშნულია საჯარო ლექცია სრულიად რუსეთის დამფუძნებელი კრების წევრების ნ. ბერგზოვისა და ი. თუმანოვის:

„თანამედროვე რუსეთი“

(პირადი შთაბეჭდილებანი რუსეთსა და პეტროგრადში მოგზაურობიდან).

დასაწყისი სრულ 11 საათზე.

ბილეთების მიღება შეიძლება ს.-რევ. პარტიის გოლოვ. რაიონის კომიტ[illegible] ბიუროში (მე 3 ვაჟების გიმნ.) ველიამინოვის ქ., 5—8 საათამდე, ხოლო დ[illegible] ქცის დღეს „კრუჟოკში“. 339

ტფილისის საურთიერთო ნდობის სასოფლო-სამეურნეო
საზოგადოების გამგეობა

აცხადებს, რომ 8 აპრილისათვის (ახალი სტილით 21 აპრილი) დილის 10 ს. საზ. ბინაზე (სასახლის ქ. სარაჯიშვილის სახლი) დანიშნულია მორიგი წლიური კრება, რომელიც 15 მარტისათვის იყო დანიშნული, ხოლო წევრთა საკმაო რიცხვის დაუსწრებლობის გამო არ შესდგა.

განსახილველია:

1. საბჭოს მოხსენება ანგარიშის შესახებ, 2. საბჭოს მოხს. თავისი მოქმედების შესახებ, 3. სარევიზიო კომ. მოხსნება, 4. 1917 წ. ანგარიში, 5. არჩევნები:

გამგეობის წევრისა, ნაცვლად პ. გოთუასი; საბჭოს დეპუტატების, დ. ჩოლოყაშვილის, ა. ბერულაშვილის და გარდაცვლილ ვ. მაჩაბლის ნაცვლად, და სარევიზიო კომ. სამი წევრისა და მათი სამი კანდიდატისა. 1127

ქართული თეატრის
აღორძინება

ქართული დრამატიული საზოგადოება მოუწოდებს ქართველ ინტელიგენტ ახალგაზრდობას (18 წლ. 30 წლამდე) გამოცხადდნენ ჩასაწერად სრულიად ახალ დასის შესადგენად. ქართულმა დრამატიულმა საზოგადოებამ დააარსა სასცენო ხელოვნების სტუდია. ამ სტუდიაში მომზადებულ მსახიობებით გამართავს წარმოდგენებს ჯერ ტფილისის სახაზინო თეატრის შენობაში და შემდეგ თავის საკუთარ თეატრში. მსურველნი ამ სტუდიაში სრულიად უფასოდ შეისწავლიან: **დიქციას, მიმიკას, პლასტიკას, რითმს დეკლამაციის ხისტემით, ფარიკაობას, გრიმს, ხმის დაყენების და მისაც ხასიათის ხმა აღმოაჩნდება—სიმღერას.** თუ რომელსამე მომავალ მსახიობს აღმოაჩნდა ნიჭი, შეისწავლის დაკვრას იმ ინსტრუმენტზე, რომელსაც მოისურვებს.

დაწვრილებითი ცნობები მსურველთ შეუძლიათ მიიღონ ქართულ დრამატიულ საზოგადოების კანტორაში რომელიც იმყოფება გოლოვინის პროსპექტზე № 11. ჩაწერა დაიწყება 21 მარტს და გაგრძელდება მხოლოდ [illegible] კვირა, ე. ი. 5 აპრილამდე.

კანტორა ღიაა დილის 10—2 საათამდე და ნაშუადღევის 4—6 საათამდე.

ტფილისის გარეთ მცხოვრებთ შეუძლიათ წერილობით გვაცნობონ ამ ისამართით: ქართული დრამატიული საზოგ. გამგეობა. 1117

აბასთუმანი წაღვერი

(ბაკურიანის რკინის გზა, ბორჯომიდან 12 ვერსზე)

პანსიონი
ელისაბედ მღებრიშვილისა

(მეთორმეტე სეზონი)

პანსიონი მოთავსებულია ახლად აგებულ შენობაში, [illegible] და განცალკევებულ სუფთა ადგილს, ფიჭვ ნაძვნარში, ყოველივე [illegible] ლობით. პანსიონთან იმყოფება ექიმი, არის სამკურნალო გამოყენებული წყაროს წყალი. არის ბანიკი, პიანინო და სხვ... სახლიდან მოისჩანს საუცხოვო სანახაობა,..

აგრეთვე წაღვერში მიმდინარეობს მეტად სასარგებლო [illegible] (რკინის) წყალი.

პირობების გაგება შეიძლება თვით წაღვერში: Цагвери (через Боржомъ) Елизаветѣ Яковлевнѣ Мгебришвили.